გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

№43 (1684) 15 — 21 ნოემბერი ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www.versia.ge

რა საკანონმდებლო ცვლილებაა საჭირო კაშხლების უსაფრთხოებისთვის

დავით მირცხულავა: „საქართველოში გვაქვს უნიკალური კაშხლები, მაგალითად, ენგურჰესი, სადაც დამონტაჟებულია უსაფრთხოების სისტემები, ასევე, ჟინვალჰესზე, დანარჩენ სადგურებზე მოვიკოჭლებთ“

„ჩვენ გვაქვს საქმე ქვეყანასთან, რომელსაც სულ ფეხებზე ჰკიდია საერთაშორისო თანამეგობრობა!“

როგორ უნდა შეწყდეს დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველების მკვლელობები – მამუკა არეშიძის ვერსიები

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

გაქცევა წითელი სამშობლოდან – „თვითმფრინავის ბიჭების საქმის“ დღემდე უცნობი დეტალები

დახვრეტილთა მშობლების მონათხრობი და ტრაგედიის 40-წლიანი საიდუმლო

რა შეცდომებს უშვებს ოპოზიცია

არჩილ გამზარდიას შეფასებები

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი საგზაო პოლიციის ევროპის რეგიონალური ქსელის შეხვედრაში მონაწილეობდა

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, ვაჟა სირაძემ საგზაო პოლიციის ევროპის რეგიონალური ქსელის პირველ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, რომელიც სტამბოლში გაიმართა.

საგზაო პოლიციის ევროპის რეგიონალური ქსელის შეხვედრაში მონაწილეობდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის, თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსი, ლაშა ჯოხაძე.

შეხვედრის ძირითად მიზანს წარმოადგენდა სხვადასხვა სახელმწიფოების სამართალდამცავ უწყებებს შორის საგზაო უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, ასევე, საერთო მიდგომების შემუშავება ზემოხსენებული მიმართულებით.

შეხვედრის ფარგლებში, მონაწილე სახელმწიფოებმა წარადგინეს პრეზენტაციები საგზაო უსაფრთხოების სფეროში არსებული გამოწვევებისა და მათი ეფექტიანად დაძლევის თემატიკაზე, ასევე, აღნიშნულ სფეროში საერთაშორისო და უწყებათაშორისი თანამშრომლობის მნიშვნელობაზე.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ 50-ზე მეტი სახელმწიფოს სამართალდამცავი უწყებების ხელმძღვანელი პირები და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

აბასთუმანში პოლიციისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ახალი შენობები გაიხსნა

შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, შალვა ბედოიძემ და მოადგილე გიორგი ბუთხუზმა, სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორ გიორგი ბუხრაშვილთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს თემურ მღებრიშვილთან და სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად, დაბა აბასთუმანში, პოლიციისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ახალი შენობები დაათვალიერეს და თანამშრომლებს თანამედროვე სტანდარტების შენობებში საქმიანობის გაგრძელება მიულოცეს.

აბასთუმანში პოლიციის შენობა ამ დრომდე – ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში, ხოლო საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ძველ შენობაში იყო განთავსებული.

პოლიციის განყოფილებაში დასაქმებული სამართალდამცველები ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმანს, 12 სოფელსა და 4000-მდე მოქალაქეს მოემსახურებიან.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამსართულიანი შენობა სრულად აკმაყოფილებს რეგიონის მოთხოვნილებებს, რომელიც გათვლილია 35-40 თანამშრომელზე, სადაც პროფესიული საქმიანობის შესასრულებლად ყველა პირობა აქვთ შექმნილი.

ახლადაშენებული თანამედროვე სტანდარტების შენობები უახლესი ინვენტარითაა აღჭურვილი. პოლიციის შენობაში განთავსებულია ნივთმტკიცებების, საიარაღო და ამოცნობის ოთახები.

ახალ შენობებში თანამშრომლებისთვის მოწყობილია სამუშაო, სასწავლო და საძინებელი ოთახები, ასევე, სპორტული დარბაზი და სამზარეულო. შენობები ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროებების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის პირებისთვის.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შენობაში გათვალისწინებულია სპეციალური სადგომი ორი სახანძრო და ერთი სამაშველო ავტომანქანისთვის. პოლიციას ჰყავს ელექტრომობილები და შენობებიც აღიჭურვა ელექტრომობილების დამტენი მოწყობილობებით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი საპოლიციო ინფრასტრუქტურის განახლებაა, რომლის ფარგლებში, პოლიციელთა სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისა და მოქალაქეებისთვის ეფექტიანი საპოლიციო მომსახურების მიზნით, საქართველოს მასშტაბით, ბოლო წლებში, პოლიციისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის არაერთი ახალი შენობა გაიხსნა.

ალექსანდრე დარახველიძე პროექტ „პრომეთეუსის“ მეორე ფაზის ფარგლებში ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენციის გახსნით ღონისძიებაში მონაწილეობდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტ „პრომეთეუსის“ (II ფაზა) ფარგლებში ორგანიზებული საერთაშორისო კონფერენციის – „მიგრაცია საქართველოდან ევროკავშირისა და შენგენის ზონის მიმართულებით – მრავალსექტორული თანამშრომლობა არალეგალური მიგრაციის, მიგრაციასთან დაკავშირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული მიგრაციის რეგულირების მიზნით“, გახსნით ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

ალექსანდრე დარახველიძემ მისასალმებელ სიტყვაში ხაზი გაუსვა ევროინტეგრაციის პროცესში ევროკავშირთან/შენგენის სივრცის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლის მნიშვნელობას და სამინისტროს მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს არალეგალური მიგრაციისა და უსაფუძვლო თავშესაფრის მოთხოვნის შემცირების მიმართულებით.

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელი პირები, საფრანგეთის ელჩი საქართველოში შერაზ გასრი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) საქართველოს მისიის ხელმძღვანელი სანია ჩელებიჩ ლუკოვაცი, საქართველოში ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩები, გაეროს მუდმივი კოორდინატორი, ევროკავშირის, მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრისა (ICMPD) და საქართველოს შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები.

ღონისძიების თემატური პანელები დაეთმო საზღვრის მართვის და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მიმართულებით შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლობას პარტნიორი ქვეყნების უწყებებთან, ასევე, ევროპოლთან (EUROPOL) და ფრონტექსთან (FRONTEX), რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს უვიზო მიმოსვლის შეუფერხებლად წარმართვაში.

ორდღიან საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის, ავსტრიისა და შვეიცარიის შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებმა, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებმა. კონფერენცია მიზნად ისახავდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის მიგრაციული პროცესების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფისთვის გატარებული ღონისძიებების შედეგების გაცნობას და სამომავლო ნაბიჯებზე რეკომენდაციების შემუშავებას.

პროექტი „პრომეთეუსი“, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, 2022 წლიდან ხორციელდება საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. მისი მიზანია შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერება საზღვრისა და მიგრაციის მართვის, ასევე, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.

„ჩვენ გვაქვს საქმე ქვეყანასთან, რომელსაც სულ ფეხებზე ჰკიდია საერთაშორისო თანამეგობრობა!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

როგორ უნდა შეწყდეს დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე ქართველების მკვლელობები – მამუკა არეშიძის ვერსიები

ოკუპანტების მიერ სოფელ კირბალთან მოკლული თამაზ გინტური სამხედრო პატივით დაკრძალეს. დაკრძალვის ცერემონიამდე, გინტურის სამოქალაქო პანაშვიდი გორში, ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში გაიმართა. თამაზ გინტური, მიმდინარე წლის 6 ნოემბერს, სოფელ კირბალთან, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე, საოკუპაციო ძალის წარმომადგენლებმა უკანონოდ დაკავების მცდელობისას, ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. მასთან ერთად მყოფი, მისივე თანასოფლელი, ლევან დოთიაშვილი კი რუსეთის საოკუპაციო ძალებმა უკანონოდ დააკავეს, თუმცა ცოტა ხნის წინ ქართულ მხარეს გადმოსცეს. შსს-ს ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქის მკვლელობისა და ერთი პირის გატაცების ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 143-ე მუხლებით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთას გულისხმობს.
აღნიშნულ საკითხზე „ვერსია“ ანალიტიკოს მამუკა არეშიძეს ესაუბრა:

– ბატონო მამუკა, რა უნდა გაკეთდეს მსგავსი ტრაგედიების პრევენციისთვის? საერთაშორისო თანამეგობრობის, სამშვიდობო მისიების მეტად ჩართვა იქნება გამოსავალი?

– ჩვენ გვაქვს საქმე ქვეყანასთან, რომელსაც სულ ფეხებზე ჰკიდია საერთაშორისო თანამეგობრობა და მისი აზრი! ნებისმიერი საერთაშორისო ინსტიტუტის პოზიცია მოსკოვისთვის მიუღებელია. აქედან გამომდინარე, გვაქვს ორი გზა, შეიძლება ასე ითქვას, იმისთვის, რომ პრობლემა გადავწყვიტოთ – ერთია სამხედრო აქტივობის დაწყება და მცდელობა, რომ უკან დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები, როგორც ეს აზერბაიჯანმა გააკეთა და მეორეა, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ დავიწყოთ მუშაობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რათა მომავალში მაინც გვქონდეს გარკვეული ეფექტი...

– რას გულისხმობთ?

– ეს კომპლექსური და ძალიან ვრცელი საკითხია, რომელიც გულისხმობს რბილი ძალის ამოქმედებას, სოციალურ ქსელებსა და საინფორმაციო სივრცეში აქტივობას, შესაბამისად, გარკვეულ საზოგადოებრივ ფენებთან მუშაობას, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას და ა.შ. ჩამონათვალი უზარმაზარია და ყველაფერი ეს თავის დროზე ჩაფიქრებულიც იყო, მონახაზები არსებობდა, ინიციატივების პაკეტი იყო შექმნილი, მაგრამ ამას შემდეგ პოლიტიკური გადაწყვეტილება არ მოჰყვა.

– საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭება ხომ არ შეუწყობს ხელს ოკუპირებული რეგიონების ინტეგრირებას – მათთვის საქართველო უფრო მიმზიდველი გახდება?

– დღევანდელი საჯარო პოზიციით უნდა გიპასუხოთ, რასაკვირველია, ეს იქნება პოზიტიურად მიღებული რიგი მოქალაქეების მხრიდან, როგორც ცხინვალში, ისე აფხაზეთში და ეს განაპირობებს, გარკვეულწილად, საქართველოსთან ინტეგრაციის სურვილს. ეს არის საჯარო გამოსვლის ფორმა.

სერიოზულად თუ მკითხავთ, ამას მნიშვნელობა არ აქვს მათი დიდი ნაწილისთვის, რომლებზეც ჩვენ ვსაუბრობთ. ამ ადამიანებისთვის მთავარია ხელშესახები ეფექტი.

ჩვენ, მაგალითად, გვქონდა უზარმაზარი მიღწევა – აფხაზეთსა და ცხინვალში მცხოვრებთა ერთი ნაწილი, რომელიც სამკურნალოდ მოდიოდა თბილისში, 2013-14 წლამდე, იღებდა საქართველოს მოქალაქეობის პირადობის მოწმობას, ამის გარეშე ვერ ჩაიტარებდა მკურნალობას და იმ ადამიანებს, რომლებიც აქ მოდიოდნენ სამკურნალოდ, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ საქართველოს მიმართ, ეს იყო მეორე საკითხი, მთავარი იყო – მათ სჭირდებოდათ მკურნალობა, ამიტომ ამ ნაბიჯზე მიდიოდნენ. რატომღაც გაუქმდა ეს და აღარ ხდება.

როდესაც აუცილებლობას ქმნი, ადამიანი იძულებულია, გადადგას ესა თუ ის, შეიძლება თავისთვის არასასურველი, თუმცა სახელმწიფოსთვის საჭირო ნაბიჯიც. ამიტომ კანდიდატის სტატუსი მიენიჭება თუ არა საქართველოს, ეს იქ არ იმუშავებს.

– რატომ, ევროპა არ არის იქ მცხოვრები ახალგაზრდებისთვის სასურველი?

– როგორ არ არის სასურველი, მაგრამ თუ ცხინვალის საზოგადოებას არ ჩავთვლით, თქვენ თუ გგონიათ, ძალიან სერიოზული პრობლემები ჰქონდა აფხაზეთის ელიტას უკრაინის ომამდე ევროპაში გასასვლელად, ძალიან ცდებით. ნახეთ, მაგალითად, აფხაზური მოდის კვირეული მილანში – შეიძლება, ეს ჩატარდა კუსტარულად, დაბალ დონეზე, მოფარებულში და ამას ხმამაღლა დაარქვეს აფხაზური მოდის კვირეული, მაგრამ ხომ ჩატარდა? ხომ ჩავიდა ეს 40 კაცი იქ? ჰოდა, ამით იმის თქმა მინდა, რომ რასაც ხშირად საინფორმაციო სივრციდან იგებენ ჩვენი მოქალაქეები, ეგრე არ არის საქმე. რასაკვირველია, მათ ევროპა უნდათ, მაგრამ ამას საქართველოს გვერდის ავლით, გარკვეულწილად, ახერხებენ. არიან ადამიანები, რომლებიც ვერ ახერხებენ და მათთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამას და ცდილობენ საქართველოს მეშვეობით მოხვდნენ ევროპაში. არც ეს იცის საზოგადოებამ, რადგან მათი ვინაობის გახმაურება არ იქნება სწორი. სხვათა შორის, ჩრდილოეთ კავკასიელები ბევრად უფრო აქტიურად და დიდი რაოდენობით არიან ამ თემით დაინტერესებულნი, ვიდრე აფხაზეთისა და განსაკუთრებით, სამაჩაბლოს მცხოვრებლები.

– თუ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდება, ეს იქნება პრევენცია, რომ გინტურის მკვლელობის მსგავსი ტრაგედიები აღარ მოხდეს?

– არა, არ იქნება. თუ არ გვექნება სერიოზული ქოლგა, ცუდ მდგომარეობაში ვიქნებით. ამიტომ ვამბობ, მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა ვინმეს უკრაინის ხელისუფლების პოზიცია, მათ შორის, მეც არ მომწონს და პირდაპირ ვადანაშაულებ უკრაინის ხელისუფლების რიგ წარმომადგენლებს უვიცობასა და ორმაგ თამაშში.... მაგრამ ეს მეორადი საკითხია და გადავიტანთ, რუსეთმა უკრაინაში არ უნდა გაიმარჯვოს. ეს არის მთელი ამ პროცესის რეცეპტი. თუ რუსეთმა უკრაინაში გაიმარჯვა, მაშინ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ამ პრობლემის მოგვარება, რაზეც ვსაუბრობთ, გადაიდება, არ ვიცი, რამდენი ხნით. არავითარი კანდიდატობა ამას არ უშველის...

რა საკანონმდებლო ცვლილებაა საჭირო კაშხლების უსაფრთხოებისთვის

მაკა რუხაძე

ფაქტია, რომ ჰიდრორესურსებით ისეთ მდიდარ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მაღალი ძაბვის ჰიდროელექტროსადგურებიც (ჰესი) გვჭირდება, ოღონდ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) სრული დოკუმენტაციით, კაშხლებიც და მცირე ჰესებიც. თუმცა თანამედროვე სამყაროს თავისი გამოწვევები აქვს, ჰიდროენერგეტიკაში ესაა ადაპტაცია ცვალებად სამყაროში, რაც ნიშნავს, რომ ამ ტიპის ნებისმიერი ნაგებობა უსაფრთხოების სისტემებით სრულად უზრუნველყოფილი უნდა იყოს.

საქართველოს მაღალი კაშხლების ეროვნულმა კომიტეტმა – GNCOLD, 2023 წლის 7 ნოემბერს, სასტუმროში „ჰილტონ გარდენ ინნ თბილისი ჭავჭავაძე“, საერთაშორისო კონფერენცია – „კაშხლები და ჰიდროენერგეტიკა: ადაპტაცია ცვალებად სამყაროში“ ჩაატარა.

დავით მირცხულავა: „საქართველოში გვაქვს უნიკალური კაშხლები, მაგალითად, ენგურჰესი, სადაც დამონტაჟებულია უსაფრთხოების სისტემები, ასევე, ჟინვალჰესზე, დანარჩენ სადგურებზე მოვიკოჭლებთ“

კონფერენცია საქართველოს მაღალი კაშხლების ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა დავით მირცხულავამ გახსნა. ამის შემდეგ, სიტყვით გამოვიდნენ საერთაშორისო სპიკერები – მსოფლიოში ცნობილი ექსპერტები იტალიიდან, შვეიცარიიდან, ესპანეთიდან, გერმანიიდან.

„საქართველოს მაღალი კაშხლების ეროვნული კომიტეტის კონფერენცია – ეს არის საერთაშორისო თუ ადგილობრივი, სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების შეკრება, სადაც ჰიდროენერგეტიკის, მელიორაციული წყალსამეურნეო ნაგებობების უსაფრთხოების უზრუნველყოფის აქტუალური საკითხების გარშემო ხდება, როგორც ცოდნისა და გამოცდილების, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება. დღევანდელი კონფერენციის მიზანია მაღალი კაშხლების მდგომარეობა დღევანდელ, ცვალებად სამყაროში. ყველა მომხსენებელმა, რომლებიც საუკეთესო უნივერსიტეტებისა და კომპანიების წარმომადგენლები არიან უცხოეთიდან, აღნიშნეს, რომ კაშხლებს უდიდესი როლი აქვთ, რადგან მათ შეუძლიათ სარგებლის მოტანა. მეტიც, კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით, კაშხლებს ახალი ფუნქციაც გამოუჩნდათ – წყლის მოცულობების შენახვა. განახლებადი ენერგიების ინტეგრაციისთვის აუცილებელია ასეთი წყალსაცავებისა და მანევრული სადგურების არსებობა“, – განუცხადა „ვერსიას“ დავით მირცხულავამ.

მისივე თქმით, კონფერენციის ფარგლებში განიხილეს გეოდინამიური რისკები, განსაკუთრებით შოვის კატასტროფის შემდეგ. რამდენიმე საერთაშორისო კომპანიის წარმომადგენელმა პირდაპირ განაცხადა, რომ მათი უსაფრთხოების სისტემები იძლევა, როგორც პროგნოზირების, ასევე დაკვირვებების საშუალებას, რათა არ გამოგვრჩეს მოსალოდნელი კატასტროფა და დაცული იყოს მოსახლეობა. „ვერსიასთან“ საუბრისას დავით მირცხულავამ ისიც აღნიშნა, რომ საქართველოში ბევრი მაღალრისკიანი ადგილია, კონფერენციაზე წარდგენილი იყო წინასწარი შეტყობინების გამზომი სისტემები, რომლებიც განგაშის წინაპირობაა.

„ვერსიის“ კითხვაზე, რამდენად დაცულია საქართველოში კაშხლები და მაღალი ძაბვის ჰიდროელექტროსადგურები, დავით მირცხულავამ გვიპასუხა:

„რა თქმა უნდა, მოსახლეობას კაშხლებთან და ჰესებთან დაკავშირებით გარკვეული შიში აქვს და ეს ბუნებრივია. თუმცა, სწორედ უსაფრთხოების სისტემამ უნდა მისცეს საშუალება ადამიანებს, რათა დაცულად და უსაფრთხოდ იგრძნონ თავი. სწორედ ამაზე ვისაუბრეთ საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში. მეტიც, კაშხლების უსაფრთხოების სისტემებთან დაკავშირებით, აუცილებელია საქართველოში კანონმდებლობის ცვლილება და რეგლამენტის დამუშავება. მინდა გითხრათ, რომ ენერგეტის მარეგულირებელი კომისია გარკვეულ ნაბიჯებს დგამს, გვაქვს დიდი მხარდაჭერა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან და ვფიქრობ, საკანონმდებლო დონეზე აუცილებლად შევავსებთ იმ ნიშას, რომელიც გვჭირდება. საქართველოში გვაქვს უნიკალური კაშხლები, მაგალითად, ენგურჰესი, სადაც დამონტაჟებულია უსაფრთხოების სისტემები, ასევე, ჟინვალჰესზე, დანარჩენ სადგურებზე მოვიკოჭლებთ. არადა, უსაფრთხოების სისტემები ყველგან უნდა იყოს“.

საერთაშორისო კონფერენციის მსვლელობისას, ჩატარდა სამეცნიერო სესიები, სადაც სამეცნიერო და საინჟინრო სფეროს წარმომადგენლებმა ისაუბრეს რეგიონსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო საგამოფენო სესიაც, სადაც საინჟინრო უსაფრთხოებისა და ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემების მწარმოებელმა კომპანიებმა უახლესი ტექნოლოგიები წარადგინეს.

რაც მთავარია, საქართველოს მაღალი კაშხლების ეროვნული კომიტეტის კონფერენციის ფარგლებში, 8-დან 10 ნოემბრის ჩათვლით, ცნობილმა ესპანურმა საინჟინრო-საკონსულტაციო კომპანიამ – iPresas – Risk Analysis, ჩაატარა სამდღიანი ტრენინგი – „ჰიდროტექნიკური ნაგებობების ტექნიკური უსაფრთხოების საკითხების შესახებ“. კომპანიის წარმომადგენლებმა ისაუბრეს ჰიდროენერგეტიკული ობიექტებისა და კაშხლების უსაფრთხო ოპერირებისთვის რისკების შეფასებასა და მართვაზე.

რა შეცდომებს უშვებს ოპოზიცია

არჩილ გამზარდიას შეფასებები

თათია გოჩაძე
598-43-50-34

„როგორ მოჩანს ერთი შეხედვით ჩვენი პოლიტიკური პარტიები და მინიმუმ, რა უნდა გაითვალისწინონ ხელისუფლებასთან ბრძოლაში?

ნაციონალური მოძრაობა – ყველაზე გამოცდილი, კვალიფიციურად სტრუქტურირებული პარტია, რომლის ოპოზიციაში პირველობის მიზეზი ის წარსულია, რაც მის აწმყოსა და მომავალს უშლის ხელს. პარტია ვერ შორდება წარსულს, რადგან წარმატების მიზეზი წარსულია და ვერ ქმნის ამის გამო აწმყოსა და პერსპექტივებს, რადგან ძველ სტრატეგიაზე დგას და ახალს ვერ ქმნის. არადა, ამ პარტიაში მყოფი ადამიანების ნაწილს აქვს ის, რაღაც განსაკუთრებული, რაც თითქმის სხვა არცერთს, შინაგანი კავშირი და ბმა თავიანთ საქმესთან.

ლელო – პარტია, რომელიც საკმაოდ ბევრ კვალიფიციურ სპეციალისტს ფლობს. არიან სულ მოძრაობაში, თითქოს ყველა მიმართულებით მუშაობენ, მათი პოზიციები ნაკლებად დემაგოგიურია სხვებთან შედარებით, რაც მათ შეფასებებსა და მცდელობებს მეტად ანიჭებს საქმიან შინაარსს, თუმცა... პარტია უსახურია, არის და არ არის ერთდროულად. მიუხედავად ხშირი გამოჩენისა, ის მაინც უჩინრად და უსიცოცხლოდ მოჩანს. მათი რეპუტაცია ვერ ეწევა რეპუტაციულ პოტენციალს, რაც მათ პერსპექტივას ამცირებს.

გირჩი (მეტი თავისუფლება) – ერთ-ერთი იშვიათი პოლიტიკური ჯგუფი, რომელიც არ არის ან ნაკლებადაა ავტორიტარული. განსაკუთრებით ფლობს შემოქმედებით, თავისუფალი აზროვნების და პოლიტიკურად წესიერ ადამიანებს, რომლებიც პატივისცემას იმსახურებენ, მაგრამ... ეს პარტია ვერ სტრუქტურირდება ამომრჩევლის ცნობიერებაში საკმარისად, ვერ ვითარდებიან პოლიტიკურ წონად, კრეატიული პოლიტიკური კლუბის განცდას უფრო ტოვებს, ვიდრე ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ პერსპექტივას.

გირჩი – პარტია, რომელიც ცდილობს არ ტრიალებდეს პოლიტიკურ უპირატესობათა აფილირების სივრცეში, არ რადიკალიზებდეს, იტოვებდეს თანამშრომლობის უნარს ყველასთან, რაც ნაკლებად დემაგოგიურ და პოლიტიკურად ზედაპირულს ხდის პარტიას, პოლიტიკურ შინაარსში კი თეორიულად უპირატესი მხარეა, მაგრამ... პარტიის თეორიული შესაძლებლობა ვერ ეწევა პრაქტიკულ სამომხმარებლო მოთხოვნებს, ვერ ქმნიან საკმარის რეპუტაციას და ჯამში, ვერ ქმნიან საჭირო პრესტიჟს ვერც კონკურენტებში, ვერც საერთო სამომრჩევლო სივრცეში.

საქართველოსათვის ანუ გახარიას პარტია – ჩემი თვალით დანახული ამ პარტიის უპირატესობა ორ საყრდენზე დგას, ერთი მხრივ, გამოცდილ მოხელეთა გამოცდილებასა და დღემდე საჭირო კომუნიკაციაზე სამოხელეო სივრცეში და მეორე, სხვებთან შედარებით, სწორად შერჩეულ პირველად სამიზნე აუდიტორიასთან, ამას გარდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს დამფუძნებლისა და ლიდერის პოლიტიკური არტისტიზმი. ეს ფაქტორები მნიშვნელოვან შესაძლებლობებს უქმნის დღემდე ამ პარტიას, თუმცა, სხვა მხრივ, ჩემი გადასახედიდან, ამ პარტიაში ვერ ვხედავ ვერც პოლიტიკურ შინაარსს, ვერც გრძნობით ელემენტებს, პარტია აგებულია ანგარიშებზე და არა პოლიტიკურ იდეაზე ან შინაარსზე.

ევროპული საქართველო – პარტია, რომელიც ჩემი გადასახედიდან, ყველაზე მეტ ადეკვატურობას ინარჩუნებს პოლიტიკური პროცესების შეფასებაში და საჭირო პოლიტიკური ქცევების თუ პერსპექტივების თეორიული წინაპირობებისა და ასპექტების შექმნაში, რაც ამ პარტიის შინაარსს და დღის წესრიგს ქმნის გამორჩეულს, თუმცა... ჩემი აზრით, ამ პარტიის მთავარი სისუსტე მის პერსონიფიცირებულ ასოცირებასთანაა, რომელსაც, ერთი მხრივ, წარსული ძალაუფლების ლანდები დაჰყვება, მეორე მხრივ, ზოგიერთი ლიდერის არაარჩევითი/არამოთხოვნილებითი ფსიქოტიპი, ასევე მათი დეკლარირებული პოზიციები, ვფიქრობ, ნაკლებად ტოვებს მათივე შინაგანი შინაარსის განცდას, რის გამოც პარტია ვერ იწვევს ადამიანურ ნდობას, რაც პოლიტიკური პერსპექტივის მთავარი საფუძველია.

მოკლედ, ეს არის ჩემი ზოგადი და ზედაპირული მიმოხილვა რამდენიმე ოპოზიციური პარტიის საქმიანობისა, თუ რომელიმე მათგანი გარკვეულ ასპექტებს გაითვალისწინებს, ისევ მათ, შესაბამისად, ჩვენც წაგვადგება“, – ასე აფასებს ანალიტიკოსი არჩილ გამზარდია ოპოზიციური პარტიების ახლანდელ მდგომარეობას.

ამასთან, გამზარდია „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობს, რომ კანდიდატის სტატუსის მიღებას, შესაძლოა, რაღაც განსაკუთრებული ფუნქცია არ შეეძინა, მაგრამ ოპოზიცია, საკმაოდ დიდი ხანია, ორ ძირითად პრინციპზე პოზიციონირებს – კოალიციური მთავრობის თემა და კანდიდატის სტატუსის საკითხი, რომ „ქართულ ოცნებას“ არ უნდოდა და ვერ მიიღებდა ამ სტატუსს:

„სწორედ იმიტომ, რომ ოპოზიციას კომპლექსური მიდგომები არ ჰქონდა, როგორც სახელმწიფოს, ისე ადამიანებთან მიმართებაში, ეს ფაქტორი თუ გამოეცალა ხელიდან, უფრო ნაკლებ სივრცეს მისცემს, თუ არ იმუშავეს ეფექტურად საიმისოდ, რომ არჩევნებამდე პერიოდში, რაღაც სხვა შინაარსი შესძინონ საკუთარ პოზიციონირებას. ეს იმიტომ, რომ რაც უნდა თქვან და რაც უნდა ჩვენი პარტნიორების პოზიციები იყოს, უბრალოდ, დეკლარირებული დიპლომატიისა, იქ ყოველთვის აღნიშნულია, რომ ხელისუფლება წარმოადგენს მოსახლეობას მაშინ, როცა თუნდაც მძიმე შენიშვნების ფონზე აღიარებდნენ მაინც ასეთ ხელისუფლებას. მე პირადად, როგორც მოქალაქეს, შეიძლება სულ სხვა პოზიცია მქონდეს, მაგრამ ევროპული მიდგომა ასეთია – წარმომადგენლობითი ორგანო არის ადამიანებისა, ძირითადი ამომრჩევლისა ხელისუფლება და იქ აღნიშნულია სწორედ ის პირობები, რომ მათი გადასახედიდან რაღაც შესრულდა, რაღაც – არა და როდესაც დათქმებით აძლევენ სტატუსს, ეს თავისთავად გულისხმობს დადებითი მოლოდინის დამოკიდებულებას ხელისუფლებასთან. მოგვწონს თუ არა, ეს ასეა და მორჩა.

ამას გარდა, ხელისუფლებას აქვს ფართო პროპაგანდისტული სივრცე, სადაც ჩვენი პარტნიორების ციტატებიდან დაწყებული – რა და როგორ შესრულდა...

მაგალითად, გავიხსენოთ, ერთი პერიოდი იყო საუბარი საერთაშორისო იზოლაციისკენ სვლაზე ხელისუფლებისა და სრული პირობები იყო ამისა, მაგრამ შემდეგ პროცესი ისე წავიდა, რომ ახლა იზოლაციის თემა გაქრა. ამიტომ, მსგავსი მიდგომები ოპოზიციურმა პარტიებმა ბევრად უფრო ფართო პროფილიანი თუ არ გახადეს, რა თქმა უნდა, ნაკლებ სასაუბრო სივრცეს დაუტოვებს და ამით ისევ მმართველი პარტია ისარგებლებს“.

არჩილ გამზარდია მეორე ფაქტორის – კოალიციური მთავრობის საკითხის შესახებაც საუბრობს:

„ვნახეთ, რომ თვითმმართველობის არჩევნების დროს, ამ თემის ფართო გაშლამ განსაკუთრებული ეფექტი ვერ მოიტანა და ამიტომ თუ მთლიანობაში ახალ ეფექტურ გადაკვეთებს ვერ იპოვის ოპოზიციური პარტიების უმრავლესობა, მათ შორის, დომინაციური პარტიები, რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს მმართველო პარტიის წისქვილზე დაასხამს წყალს. მგონი, ეს იცის კიდეც ოპოზიციამ“.

არჩილ გამზარდია ნაციონალურ მოძრაობაში არსებულ დაპირისპირებასაც ეხმიანება და ამბობს, რომ ცალკეული ექსპერტების შეფასებით, ნაციონალური მოძრაობა ხელს უშლის ოპოზიციას, თუმცა ის ამ პოზიციას არ იზიარებს და იქვე აზუსტებს, რომ ერთის ხარჯზე, მეორის სასურველობა არ ჩანს:

„ოპოზიციას მთლიანობაში ხომ ასე მოსდის, ხელისუფლების შეფასებას საკმაოდ დიდი ნაწილი მოსახლეობისა, შეიძლება, ხშირად იზიარებდეს, მაგრამ საარჩევნო შედეგი ასე ხომ არ დგება ანუ ის, რომ მმართველი პარტია არ არის სასურველი, თავისთავად, ოპოზიციას ხომ არ ხდის სასურველს და შიდა კონკურენციის პირობებში ის, რომ ვთქვათ, ნაციონალური მოძრაობა ამომრჩეველს კიდევ უფრო დეზორიენტირებულს გახდის, ეს ხომ სხვა ოპოზიციურ პარტიებს უფრო სასურველს ვერ გახდის? ეს ოპოზიციური პარტიების ძალიან სერიოზული შეცდომაა, რომ უტრიალებენ მხოლოდ სხვების წინააღმდეგობას და არა საკუთარი თავის შექმნას. ამიტომ, რაც არ უნდა მოხდეს, იმ პროპორციით, რაც არსებობს ძალთა ბალანსს შორის, მაინც დომინანტური იქნება ნაციონალური მოძრაობა პარლამენტში.

არ დაგვავიწყდეს ჩვენი საარჩევნო კოდექსი, რომელიც გულისხმობს 5%-იან ბარიერს და მეორე მხრივ, ბარიერს ქვემოთ არსებული პარტიების „ულუფების“ ხმებად გამარჯვებული პარტიისთვის მიცემას... ანუ ახლაც IRI-მ რა შედეგებიც დადო, მეტ-ნაკლებად, „ქართული ოცნება“ მაინც მკვეთრ უპირატესობაში რჩება, რადგან თუ შევხედავთ სხვების ხმებს, რომლებმაც შეიძლება 5%-იანი ბარიერი ვერ გადალახონ, ის დაანგარიშდება მმართველი პარტიისთვის და ნაციონალური მოძრაობა ისე მარტივად ვერ დასუსტდება, რომ სხვა პარტიებმა სამმაგი წარმატება მიიღონ რანდენიმე თვეში. ასე არ ხდება... გახარიას პარტიას, პირობითად, 9% აქვს, მაგრამ ეს ნიშნული, ასე მარტივად, 27% ვერაფრით გახდება და ვერც ლელოსი და ვერც სხვა დანარჩენის... ამიტომ, თუ ნაციონალური მოძრაობა ელექტორალურად მკვეთრად შემცირდა, ერთადერთი, რაც შეიძლება მოხდეს – თუ კი მელიას გაუშვებენ პარტიიდან, მას აქვს პოტენციალი, რომ გარკვეული ბარიერის გადამლახავი შესაძლებლობა შექმნას. ეს მოხდება ნაციონალური მოძრაობის ელექტორალური ცვლილების ხარჯზე თუ არა, ნებისმიერ შემთხვევაში, ის ოპოზიციური ხმებია და სხვებს ამით არ დააწინაურებს“.

როგორ გაფლანგა გურჯაანის მუნიციპალიტეტმა საბიუჯეტო სახსრები

მაკა რუხაძე

დარღვევები ინფრასტრუქტურულ პროექტებში, შესყიდვებსა და საწვავის ხარჯვაში – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური გურჯაანის მუნიციპალიტეტით დაინტერესდა. დასკვნა, რომელიც უწყების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტია. როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო მაკონტროლებლებმა მთელი რიგი ფინანსური დარღვევები გამოავლინეს და მათ გამოსასწორებლად, რეკომენდაციებიც შეიმუშავეს, თუმცა ვიდრე დარღვევებს გაგაცნობთ, შეგახსენებთ, რა პასუხისმგებლობა ეკისრება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისთვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს. ახლა, დეტალურად გავეცნოთ, რა დარღვევები გამოვლინდა გურჯაანის მუნიციპალიტეტში.

ხარვეზები ფინანსური რესურსების მართვაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2021-2022 წლების შემოსულობებმა 70.452.6 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 63.452.1 ათასი ლარი შეადგინა.

„ორივე საბიუჯეტო წლისთვის, მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ შეასრულა ბიუჯეტის, როგორც შემოსულობების, ასევე, გადასახდელების მუხლები. კერძოდ, 2021-2022 წლებში, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებამ ჯამში 5.399.8 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა კონკრეტულ საბიუჯეტო წლებში არ გაითვალისწინა მნიშვნელოვანი ფულადი რესურსის ხარჯვა. გარდა ამისა, გურჯაანის მერიამ წლის ბოლომდე ვერ აითვისა ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის საქართველოს მთავრობის თანხები და ვერ უზრუნველჰყო ბიუჯეტით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო პროგრამებით გათვალისწინებული შედეგები: ძირითადად, ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, წყლის სისტემის, სპორტული მოედნების, სკვერებისა და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები, შეუსაბამოდ დაიგეგმა ან/და არ ჩატარდა კულტურული და სპორტული ღონისძიებები და სხვა“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ საბიუჯეტო პარამეტრების არასათანადო დაგეგმვისა და შესრულების გამო, გურჯაანის მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს. კერძოდ, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ბალანსზე, ნაშთის სახით, 764.1 ათასი ლარი ერიცხებოდა.

„2021 წლისათვის დაიგეგმა 555.9 ათასი ლარის ათვისება, თუმცა ფულადი სახსრების დაგროვებამ 5.627.6 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 6.391.7 ათასი ლარის ნაშთი, საიდანაც 3.608.4 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია. 2022 წელს, მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 5.478.2 ათასი ლარის ათვისება, თუმცა დააგროვა 1.373.3 ათასი ლარი. საბოლოოდ, წლის ბოლოსთვის, საბიუჯეტო ნაშთმა 7.765.0 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც 6.307.1 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია“.

ამ დარღვევებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტმა, 2021-2022 წლებში, ვერ უზრუნველჰყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული და სხვა პროექტების/პროგრამების დროულად განხორციელება და დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი, მათ შორის, თავისუფალი ნაშთი. ეს მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე!

ხარვეზები ინფრასტრუქტურულ პროექტებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ 2021-2022 წლებში, გურჯაანის მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა 249 ხელშეკრულებით, რომელთა საერთო ღირებულება 29.734.0 ათასი ლარი იყო. მუნიციპალიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებასა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოს მიმღები ჯგუფი. ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო სამუშაოების მიღება-ჩაბარება საექსპერტო ან/და ტექნიკური ზედამხედველის მიერ გაცემული დასკვნების გათვალისწინებით, რითაც დასტურდებოდა შესრულებული სამუშაოების მოცულობა, ხარისხი და შესრულების ვადები. სახელმწიფო აუდიტორებისთვის წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ობიექტები ჩაიბარა დადებითი საექსპერტო დასკვნების საფუძველზე.

ამის შემდეგ, აუდიტის ჯგუფმა ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, რის შედეგადაც გამოვლინდა დაზიანებული ობიექტები. მაგალითად, მუნიციპალიტეტმა 2022 წელს შეისყიდა ქალაქ გურჯაანში, კოტეხის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით – 183.3 ათასი ლარი. თუმცა, გზის მნიშვნელოვანი ნაწილი დაზიანებულია.

„გარდა ამისა, ხარვეზები გამოვლინდა 11 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ პროექტებზე, რომელთა ღირებულება 1.020.1 ათასი ლარია. კერძოდ, დაზიანებულია საგზაო, განათლების, სპორტისა და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები. როგორც გამოვლინდა, მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები ზოგიერთ შემთხვევაში ვერ უზრუნველჰყოფდა სათანადო რწმუნებას სამუშაოების ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. შედეგად, ობიექტები დაზიანებულია და დამატებითი რეაბილიტაციაც სჭირდება. სამწუხაროდ, გურჯაანის მერიას არ დაუდგენია ხარვეზების გამომწვევი მიზეზები, შესაბამისი პასუხისმგებელი პირები/ორგანიზაციები და არ გაუტარებია სათანადო ღონისძიებები“.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ დათვალიერებისას გამოვლენილი დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტების საგარანტიო ვადები არ იყო გასული. მიუხედავად ამისა, მერიის შესაბამის სამსახურს ყველა ობიექტის მონიტორინგი არ განუხორციელებია, რაც მუნიციპალიტეტს საშუალებას მისცემდა გამოეკვლია დაზიანების მიზეზები და მიმწოდებლებისთვის მოეთხოვა დაზიანებების გამოსწორება. შესაბამისად, გურჯაანის მერიამ არ გამოიყენა ხელშეკრულებებით მინიჭებული უფლება და არუზრუნველჰყო არსებული წუნის მიმწოდებელი ორგანიზაციების სახსრებით დროული აღმოფხვრა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტმა ვერ დანერგა კონტროლის შესაფერისი პროცედურები და პროცესები ვერ წარმართა იმგვარად, რომ მიეღო სათანადო ხარისხის ინფრასტრუქტურული პროექტები. შედეგად, მერიამ ჩაიბარა 1.203.4 ათასი ლარის ღირებულების ისეთი ობიექტები, რომლებიც ექსპლოატაციაში მიღებიდან მოკლე დროში დაზიანდა და დამატებითი რეაბილიტაცია სჭირდება. მუნიციპალიტეტმა არ დაადგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები და ზარალის ანაზღაურების მიზნით არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები.

დასასრული მე-7 გვერდზე

როგორ გაფლანგა გურჯაანის მუნიციპალიტეტმა საბიუჯეტო სახსრები

მე-6 გვერდიდან

ხარვეზები შესყიდვებში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ 2021 წელს, გურჯაანის მუნიციპალიტეტმა, სოფელ გურჯაანში, ქვემო წითელ უბანში შეისყიდა შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, ღირებულებით – 428.4 ათასი ლარი. ხელშეკრულება გაფორმდა ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელთან – ამხანაგობა „გზამშენი 15“.

„მუნიციპალიტეტმა სრულად აანაზღაურა ხელშეკრულების ღირებულება. ხელშეკრულების შესრულების პროცესში გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები: სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, მხარეები შეთანხმდნენ ხარჯთაღრიცხვის ცვლილებაზე. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ნაწილი შეიცვალა ისეთი სამუშაოებით, რომელთა ღირებულებაც ტენდერის შედეგად არ იყო დადგენილი. კერძოდ, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მონოლითური რკინა-ბეტონის კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოები შეიცვალა ანაკრებით.

ხელშეკრულების კორექტირების შედეგად, გაიზარდა კონკრეტული სამუშაოების ერთეულის ფასები და შესაბამისად, მნიშვნელოვნად გაიზარდა სამუშაოების სრული ღირებულება. კერძოდ, ხარჯთაღრიცხვის მიხედვით უნდა მოწყობილიყო 42.3 ათასი ლარის ღირებულების რკინა-ბეტონის ღარი და კიუვეტი, თანმდევი სამუშაოებით. ცვლილების შესაბამისად, სამუშაოების ღირებულება გაიზარდა 33.3 ათასი ლარით“.

გარდა ამისა, საგზაო სამუშაოების მოწყობის მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებაში, გურჯაანის მერიამ შესაბამისი დასაბუთების გარეშე შეცვალა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების სახეობა და გაზარდა ერთეულის ღირებულებები, რამაც სამუშაოების მოცულობა შეამცირა. შედეგად, ხელშეკრულების პირობები გაუარესდა და მუნიციპალიტეტმა მიიღო დაგეგმილზე ნაკლები პროდუქტი.

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, 2021-2022 წლებში, მუნიციპალიტეტი წინასწარ ანგარიშსწორებას ახორციელებდა მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი იდენტური თანხის გარანტიის საფუძველზე. საავანსო თანხა გამოიქვითებოდა შესრულებული სამუშაოების შესაბამისად.

„პროცესის შესწავლით გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც გურჯაანის მერიამ არ გამოიყენა შესაძლო ზარალის დამცავი მექანიზმი და გარანტორისაგან საგარანტიო თანხები დროულად არ მოითხოვა, რითაც მუნიციპალიტეტი ფინანსურად დაზარალდა. კერძოდ, 2022 წელს, მუნიციპალიტეტმა შეისყიდა მინი-მოედნის, სატრენაჟორო სივრცისა და საბავშვო მოედნის მოწყობის სამუშაოები, ღირებულებით – 180.0 ათასი ლარი.28 მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს გადაუხადა სულ 87.5 ათასი ლარი, მათ შორის, 30.0 ათასი ლარი – ავანსის სახით და 57.5 ათასი ლარი – შესრულებული სამუშაოს ღირებულების (73.4 ათასი ლარი) პროპორციულად, ავანსის ნაწილის დაკავებით.

მიმწოდებელმა – შპს „დიომინემ“ სამუშაოები ვერ დაასრულა, რის გამოც მერიამ ხელშეკრულება შეწყვიტა. შედეგად, გადახდილმა თანხამ 14.1 ათასი ლარით გადააჭარბა შესრულებული სამუშაოს ღირებულებას. მიუხედავად იმისა, რომ შემსყიდველის ინტერესების დასაცავად იდგა სადაზღვევო გარანტიის გამოყენების შემთხვევა, მერიამ შესაბამისი თანხა გარანტორისაგან დროულად არ მოითხოვა და ხელშეკრულება შეწყვიტა გარანტიის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ“.

ანალოგიურად, 2022 წელს, ქალაქ გურჯაანში, ინფრასტრუქტურული ობიექტების შესყიდვისას, მერიამ შპს „ლისა ჯგუფთან“ ხელშეკრულება შეწყვიტა მიმწოდებლის მხრიდან პირობების შეუსრულებლობის გამო. სხვაობამ გადახდილ თანხასა და შესრულებული სამუშაოს ღირებულებას შორის, 7.2 ათასი ლარი შეადგინა. მერიამ არც ამ შემთხვევაში მოითხოვა დროულად შესაბამისი საგარანტიო თანხის ანაზღაურება. შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ხელშეკრულებების არასათანადო ადმინისტრირების გამო, გურაჯაანის მერიამ არ გამოიყენა ხელშეკრულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ქმედითი მექანიზმი, რითაც მუნიციპალიტეტმა დაკარგა გარანტორისაგან 21.3 ათასი ლარის მიღების შესაძლებლობა.

ხარვეზები საწვავის ხარჯვაში

საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტი – „ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის შესახებ“, თვითმმართველობებისთვის სარეკომენდაციო ხასიათისაა, თუმცა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მისი შესრულება. გურჯაანის მუნიციპალიტეტს ამ საკითხზე ნორმატიული აქტი არ მიუღია – სამორიგეო ავტომანქანების რაოდენობა რეგულირდებოდა მერის ბრძანებების საფუძველზე.

„2021-2022 წლებში, გურჯაანის მუნიციპალიტეტი ფაქტობრივად, მერის ბრძანებით, დადგენილზე ორი ერთეულით მეტ სამორიგეო ავტომანქანას იყენებდა. მუნიციპალიტეტი საწვავს გასცემდა მოხელეების კერძო საკუთრებაში არსებულ 31-38 ერთეულ ავტომანქანაზე. კერძოდ, 2021-2022 წლებში, კერძო ტრანსპორტზე გამოყენებულია 44.6 ათასი ლიტრი საწვავი“.

სახელმწიფო აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ავტომობილებზე საწვავის ხარჯვის დოკუმენტაცია, მათ შორის, აგაი სისტემის მონაცემები. გამოიკვეთა, რომ რიგ შემთხვევებში, ავტოსატრანსპორტო საშუალებებში ერთჯერადად ჩასხმულია ავტომობილების ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობის საწვავი. კერძოდ, 2021-2022 წლებში, ხუთ სატრანსპორტო საშუალებაზე, ავტომობილის ავზის მოცულობაზე გადაჭარბებით საწვავის ჩასხმის რვა შემთხვევა გამოვლინდა. გარდა ამისა, მივლინების ან/და სხვა სახის დასაბუთების გარეშე, გურჯაანის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ მდებარე ბენზინგასამართ სადგურებზე, საწვავით გამართვის 129 ფაქტიც გამოიკვეთა. სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, ამ შემთხვევებში, დახარჯულია 24.8 ათასი ლარის ღირებულების 9.9 ათასი ლიტრი საწვავი.

„შვებულების პერიოდში მუნიციპალიტეტის თანამშრომლები არ არიან უფლებამოსილნი, ისარგებლონ მათთვის გამოყოფილი საწვავით. მიუხედავად ამისა, 2021-2022 წლებში, შვებულების პერიოდში კერძო ავტომობილების საწვავით გამართვის 30 შემთხვევა დაფიქსირდა. ჯამში, გაიხარჯა 2.0 ათასი ლარის ღირებულების 730.0 ლიტრი საწვავი“.

სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტის მიდგომა სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ არარაციონალურია. კერძოდ, გურჯაანის მუნიციპალიტეტს არ აქვს მიღებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ნორმატიული აქტი მუნიციპალური ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის თაობაზე; საწვავის ხარჯვის პროცესში არსებული კონტროლის მექანიზმები სრულად ვერ უზრუნველჰყოფს მიზნობრივი ხარჯვის ეფექტიან კონტროლს. შედეგად, საწვავი გამოყენებულია არაავტორიზებულ ავტომანქანებზე, ასევე, მოხელეების შვებულებაში ყოფნის დროს და კონკრეტული მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ, რაც წარმოშობს საწვავის არასამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენების რისკებს.

გაქცევა წითელი სამშობლოდან – „თვითმფრინავის ბიჭების საქმის“ დღემდე უცნობი დეტალები



დახვრეტილთა მშობლების მონათხრობი და ტრაგედიის 40-წლიანი საიდუმლო

ივანო პავლიაშვილი

... 7-8 წლის ვიყავი... ოჯახთან ერთად, ქობულეთში ვისვენებდი. ერთ საღამოს, უფროსები ტელევიზორთან მოგროვდნენ... მაშინ ზუსტად არ ვიცოდი, რა ხდებოდა, მაგრამ ერთი კადრი ცხადად დამამახსოვრდა: ფიცრულის მიღმა რამდენიმე ადამიანი იჯდა, მათ შორის, ერთი ახალგაზრდა ქალი იყო... მერე, წლები გავიდა და... მივხვდი, ეს ქალი თინათინ ფეტვიაშვილი იყო... ასე შემორჩა ჩემს მეხსიერებას ე.წ. თვითმფრინავის ბიჭების სასამართლო პროცესი... მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ანუ მაშინ, როცა ჟურნალისტობას ვიწყებდი, თინიკოს დედას, ქალბატონ თამარ გლურჯიძეს შევხვდი... მერე, კახა და პაატა ივერიელების მამა, ბატონი ვაჟაც გავიცანი, დავმეგობრდით და... „თვითმფრინავის ბიჭების საქმეზე“ არაერთი მნიშვნელოვანი და უცნობი დეტალი გავიგე... მაინც, რა მოხდა 1983 წლის 18 ნოემბერს? რატომ გადაწყვიტა შვიდმა ქართველმა ახალგაზრდამ – კახა და პაატა ივერიელ-ლეკიშვილებმა, სოსო წერეთელმა, გია ტაბიძემ, დათო მიქაბერიძემ, გეგა კობახიძემ და თინათინ ფეტვიაშვილმა „წითელი სამშობლოდან“ გაქცევა? სხვათა შორის, გამოძიებამ ვერ დაადგინა, თუ ვის გაუჩნდა გაქცევის იდეა, თუმცა მიუხედავად ამისა, სასამართლომ „ბანდის“ მეთაურად და იდეოლოგად მღვდელი თემურ ჩიხლაძე გამოაცხადა, რომელიც თვითმფრინავში არ იმყოფებოდა... შვიდივე პროტესტანტს შეეძლო, რომ საბჭოთა კავშირი ლეგალურად დაეტოვებინა – სხვა თუ არაფერი, ძმებ ივერიელებს კაპიტალისტურ ქვეყანაში ბევრი მეგობარი ჰყავდათ და, ლულუმბას სახელობის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, საზღვარგარეთ სტაჟირებაზე გაგზავნაც შესთავაზეს, მაგრამ ბიჭებმა მაინც „გაქცევის გზა“ აირჩიეს? რატომ? – ეს შეკითხვა მოსამართლე თემურ გერსამიას ყასიდადაც არ დაუსვამს. სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ, თემურ გერსამიასაც შევხვდი და „თვითმფრინავის ბიჭებეზე“ ველაპარაკე...

სტუმრები უშიშროებიდან

... ტელეფონმა რომ დარეკა, ცნობილი ენდოკრინოლოგი ვაჟა ივერიელი ახალი ჩაძინებული იყო. ექიმმა ბურანს თავი ძლივს დააღწია და ვიდრე ყურმილს აიღებდა, საათს დახედა. ისრები დილის 6 საათს უჩვენებდნენ.

– ბატონო ვაჟა, ბიჭები შინ არიან? – ორაზროვნად ჰკითხა ენდოკრინოლოგს თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა.

– საღამოს ქორწილში წავიდნენ. წესით, უკვე უნდა დაბრუნებულიყვნენ. ახლავე ვნახავ, დამელოდეთ, – ვაჟა ივერიელი შვილებს არასოდეს ელოდებოდა, რადგან ბიჭები, ჯერ ერთი, უკვე დიდები იყვნენ. მეორეც, ბინის გასაღები კახასაც ჰქონდა და პაატასაც, – არა, არ მოსულან, ხომ მშვიდობაა?

– გვამების ამოცნობა უნდათ, – დაიჩურჩულა პირველი საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა და ყურმილი დაკიდა. სწორედ ამ დროს კარზე დააკაკუნეს.

– ერთი ვიცოდე, ჩემს თავს რა ამბავია? – გაიფიქრა ვაჟა ივერიელმა და კარი გააღო. დაუპატიჟებელი სტუმრები ენდოკრინოლოგს მძარცველები ეგონა და პოლიციაში დარეკვა დააპირა.

– დამშვდდით, ბატონო ვაჟა, უშიშროებიდან ვართ, ბინა უნდა გავჩხრიკოთ, – კბილებში გამოსცრა ერთ-ერთმა სტუმარმა.

– ბინა?.. რატომ?.. პაატა და კახა სად არიან?.. ხომ არაფერი დააშავეს? – უშიშროების თანამშრომლებმა მასპინძლის შეკითხვები უპასუხოდ დატოვეს და ჩხრეკას შეუდგნენ. პაატას ოთახში, საწერი მაგიდის უჯრაში ნაპოვნმა ოქრომ „კაგებეშნიკები“ დააბნია. აივნის კედელზე დაკიდებული „გეკოს“ პატარა თოფის დანახვაზე კი, ერთ-ერთ მჩხრეკველს უნებურად აღმოხდა, – ბიჭებს ხალხის ამოხოცვა რომ სდომებოდათ, ამ თოფს შინ არ დატოვებდნენო (!).

– რას ლაპარაკობთ, ჩემმა შვილებმა მოკლეს ვინმე? – ამოილუღლუღა ივერიელმა.

– ბატონო ვაჟა, ჩვენს უფროსს, ხაზალიას დავურეკავთ და ყველაფერს ის აგიხსნით.

იმის დაჯერება, რაც ვაჟა ივერიელმა ხაზალიასგან მოისმინა, შეუძლებელი იყო... „კაგებეშნიკებით“ გარშემორტყმულ ენდოკრინოლოგს აეროპორტამდე სიტყვა არ უთქვამს. გარინდებული სახით სადღაც, უსასრულობაში იყურებოდა და შვილების ბოლოდროინდელ საქციელს იხსენებდა. ვაჟას ბიჭებთან ახლო ურთიერთობა არასოდეს ჰქონია, თუმცა მათ სიხარულსა თუ მწუხარებას ყოველთვის გრძნობდა. კახა იმპულსური იყო, პაატა – მშვიდი. მამაც უფრო პაატას ენდობოდა, მაგრამ ნოემბრის დასაწყისში, აგარაკიდან რომ ბრუნდებოდნენ, პაატა რაღაც უცნაურად იქცეოდა, მანქანასაც დიდი სიჩქარით მართავდა. ვაჟამ შენიშვნა მისცა, მაგრამ ბიჭმა ყური არ ათხოვა...

მამა ივერიელს კიდევ ერთი ფაქტი გაახსენდა: ბიჭებს დალევა არ უყვარდათ, არც მეგობრები მოჰყავდათ, მაგრამ ორი დღის წინ, პაატა და კახა ნასვამები დახვდნენ, შინ ერთი უცხო ბიჭიც იყო (ვაჟა ივერიელი მოგვიანებით გაიგებს, რომ ის დათო მიქაბერიძე იყო), რომელმაც ხელი გადახვია, მოეფერა. უცნობის სითამამე ენდოკრინოლოგს მაინცდამაინც არ ესიამოვნა, თუმცა არც მისთვის და არც შვილებისთვის შენიშვნა არ მიუცია...

ნახევრად ჩაბნელებული აეროპორტი ხალხით იყო სავსე... თვითმფრინავიდან დაჭრილები ჩამოჰყავდათ... ვაჟა ივერიელი შვილებს ამაოდ ეძებდა...

ვიდრე გამტაცებელთა ვინაობა დაზუსტდებოდა, უშიშროების თანამშრომლები შვიდივე პროტესტანტის ოჯახში მივიდნენ და მშობლები აეროპორტში წაიყვანეს. პირველი ეჭვიც სწორედ მაშინ გაჩნდა, რომ ბიჭები ვილაცამ „ჩაუშვა“, მაგრამ ვინ იყო ეს „ვილაც“?..

დასასრული მე-15 გვერდზე

სამართალი

№43 15 ნოემბერი 2023 წ

„ამ ბებერ ულაყს მე მოვპარე ფული“

უცნაური ოჯახური კონფლიქტი და ყოფილი ცოლის აღიარება

ბათო ჯაფარიძე

როდის ბერდება მამაკაცი? – ალბათ, მაშინ, როცა ქალისადმი ინტერესს კარგავს. ყოველ შემთხვევაში, მამაკაცების უმრავლესობა სწორედ ასე ფიქრობს და ხამამაღლაც ამბობს. არის მამაკაცთა კატეგორია, რომელიც ცხოვრების განმავლობაში რამდენიმე თანამგზავრს ირჩევს, ჯერ ერთი ქალი მოჰყავს ცოლად, მერე – მეორე, მესამე, მეოთხე, შემდეგ ყველაფერი ეს ჩვევაში გადასდის და არც ცოლის მიტოვება უჭირს და ამისგან არც ტრაგედიას ქმნის. ვერ გეტყვით, რა სჯობს, მთელი ცხოვრება პარტნიორის ძიებაში გაატარო, თუ ერთთან იყო (თუნდაც ყველაფრის ფასად), მაგრამ ადამიანების კატეგორია ხან ისე იქცევა, ხან – ასე და ჩვენ მსაჯულებად ნამდვილად არ გამოვდგებით.

თბილისის ერთ-ერთი რაიონის უფროსი გამომძიებელი სილამაზის სალონში თმას იჭრიდა, როცა იქ ასაკოვანი კაცი შევარდა და სტილისტს ლამის თმაში სწვდა, გინდა თუ არა, ჩემი ფული დამიბრუნეო. ქალმა წინააღმდეგობა გაუწია, კაცი არ ეშვებოდა და საბოლოოდ, ყველაფერი ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. რა თქმა უნდა, გამომძიებელი საქმეში ჩაერია, მხარეები დააშოშმინა, შემდეგ განყოფილებაში დარეკა და ორივე იქ წაიყვანა.

„ამ ქალმა გუშინ ფული მომპარა, დიდი ფული, ათი ათასზე მეტი“, – ამბობდა კაცი, ქალი კი, გაოცებული იყურებოდა, შე უბედურო, ათი ათასი საიდან უნდა გქონოდა, ან თუ გქონდა, როგორ უნდა მომეპარა, მთელი საღამო ჩემს წინ ეგდე და როგორ ავიღებდიო, მაგრამ კაცი ამბობდა, ოთახიდან სამზარეულოში გავედი, უკან რომ დავბრუნდი, არც ქალი დამხვდა და არც ფულიო.

გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ასაკოვანი კაცი სალონში მომუშავე ქალს სამი თვის განმავლობაში ხვდებოდა, ცოლად მოყვანასაც აპირებდა, თუმცა იმ საღამოს დაიბარა და მოულოდნელად გამოუცხადა, რომ მათ შორის ყველაფერი მორჩა. ჰოდა, ამიტომ გამწარდა და ფული მომპარაო, ამტკიცებდა მამაკაცი, მაგრამ იმასაც ამბობდა, არ იცოდა, ბევრი ფული რომ მქონდა, არც სამალავი იცოდა და საკვირველია, სამზარეულოში ერთი წუთით რომ გავედი, ყველაფერი როგორ მოახერხაო. თავის მხრივ, ქალი ჰყვებოდა, შეურაცხყოფილი ვიყავი, სამზარეულოში რომ გავიდა, ერთი გემრიელად დავაფურთხე მის ზალაში, კარი გამოვიხურე და წამოვედიო. გამომძიებლები შემთხვევის ადგილის დასათვალიერებლად მამაკაცის სახლში წავიდნენ. მას სამოთახიანი ბინა ჰქონდა ნაქირავები, „ხაზეიკა“ კი, იმავე სართულზე, ერთოთახიანში ცხოვრობდა.

„ცოლიც მყავდა, შვილებიც და შვილიშვილებიც მყავს, მაგრამ ჩემი ცოლი დაბერდა, მე კი სიცოცხლე მწყურია. ამიტომ, მას დავშორდი და ცალკე გადმოვედი. ყველაფერი მათ დავუტოვე, საერთოდ ყველაფერი, მარტო ჩემი ტანსაცმელი და ფული წამოვიღე. ის ფული, რომლის არსებობის შესახებ არავინ არაფერი იცოდა და სწორედ ამ ფულით ვცხოვრობდი. მეგობარ ქალს ვეძებდი, რომელიც ჩემთან ერთად, წლები იცხოვრებდა,. რამდენჯერმე მეგონა, რომ ვიპოვე, მაგრამ ყველა ჯერზე შევცდი. ახლაც მეგონა, რომ ეს ქალი იყო ის, ვისაც ვეძებდი, თუმცა სკოლის მასწავლებელი გავიცანი და მივხვდი, რომ სწორედ მასთან მინდა დარჩენილი ცხოვრების გატარება“, – განაცხადა დაზარალებულმა.

საქმის ძებისას კიდევ ბევრი რამ გაირკვა. მამაკაცი ჯიუტად, მაგრამ მაინც აღიარებდა, რომ სახლში ათამდე ქალი სტუმრობდა და რაც მთავარია, ყველაფერს მისი „ხაზეიკა“ უყურებდა და იტანდა.

„რა თქმა უნდა, ვიტანდი, რადგან კარგი გადამხდელია და მეორეც, ისეთ ასაკშია, ადრე თუ გვიან, დაასრულებდა ამ პროცესს, ასაკი თავისას იზამდა. ამიტომ, მშვიდად ვუყურებდი ყველაფერს და იმ დღესაც, როცა ფული დაკარგა, კარგად მესმოდა, როგორ ეჩხუბებოდა იმ სტილისტს, წადი ჩემი ცხოვრებიდან, სხვა ქალი შემიყვარდა, ის უნდა მოვიყვანო ცოლადო. მერე ისიც გავიგონე, როგორ გაიჯახუნა იმ ქალმა კარი და ბოლოს, ეს კაცი რომ აყვირდა, ფული მომპარა იმ უნამუსომო. ისე, მანამდე სტუმრად ის მასწავლებელი ჰყავდა, ცოლად რომ უნდა მოიყვანოს. მოკლედ, მე აქ ცოცხალი ბრაზილიური სერიალი მაქვს და რატომ უნდა ვიყო მდგმურით უკმაყოფილო“, – განაცხადა „ხაზეიკამ“.

გამომძიებლებმა დაზარალებული კდიევ ერთხელ დაჰკითხეს – აინტერესებდათ, როცა მასწავლებელი გაისტუმრა, მაშინ შეამოწმა თუ არა ფულის სამალავი, რაზეც კაცმა ყვირილი დაიწყო, როგორ კადრულობთ და მასწავლებელს ცილს სწამებთ, მის შემოწმებას არც ვაპირებ, სანთელივით წმინდაა. ძალოვნებმა მისი შესწავლა მაინც დაიწყეს – სკოლაში 25 წელი ასწავლიდა, უპატიოსნესი ქალის სახელი ჰქონდა, გათხოვილი არასდროს ყოფილა და ახლა, ასაკში მზად იყო, საკუთარი ბედი სწორედ ამ კაცთან დაეკავშირებინა. ქალს ფინანსურად არ უჭირდა, გარდა იმისა, რომ სკოლაში იღებდა ხელფასს, კარგი რეპეტიტორის სახელიც ჰქონდა, ამიტომ აბიტურიენტები ბუზებივით ეხვეოდნენ და მასთან მოხვედრა ჩაწყობით ხდებოდა. ამის მიხუედავად, ოპერმუშაკები ცდილობდნენ იმის გარკვევას, ხომ არ აპირებდა რაიმე დიდი შენაძენის გაკეთებას, მაგრამ საპირისპირო გაიგეს – ქალი სასესხებლად 5 ათასს ეძებდა. ის დასაკითხად წაიყვანეს.

„ჰო, ფულს ვეძებ, კი ვერ ვხვდები, საიდან გაქვთ ეს ინფორმაცია, რადგან ფული უახლოეს მეგობრებს ვთხოვე, მაგრამ არა უშავს, სამომავლოდ გამომადგება, ჭკუის სასწავლებელი იქნება. ფული კი იმისთვის მინდა, რომ ჩემს საყვარელ მამაკაცს ვაჩუქო, ძალიან ნერვიულობს და არ მინდა, რომ თანხაზე იფიქროს“, – განაცხადა ქალმა.

მისი ჩვენება არცთუ დამაჯერებელი იყო, მაგრამ გამოძიებას სამხილი არ ჰქონდა. ამ ამბავში საინტერესო ის გახლდათ, რომ მამაკაცს საკუთარი ფულის კუპიურების ნომრები ჰქონდა ამოწერილი, როცა უსაქმოდ ვიყავი, სახლში მარტო, არ ვიცოდი, რა მეკეთებინა, ნომრებს ვიწერდი, დრო გამყავდა და მერე, როცა ხურდას მომცემდნენ, ვათვალიერებდი, შემთხვევით, ჩემივე ფული ხომ არ დამიბრუნდა უკანო. ამ პროცესს დრო მალე გაჰყავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც რამდენიმე მეგობარი ქალი გაიჩინა, აღარ ეცალა, მაგრამ კუპიურების ნომრები შენახული ჰქონდა. იმის ფიქრი, რომ ნომრები ბანკებისთვის გადაეგზავნათ, იმათ შეემოწმებინათ, რომელიმე მაღაზიიდან ხომ არ მიიღეს აღნიშნული ნომრების კუპიურები, სისულელე იყო. ჯერ ერთი, ეს უზარმაზარ ძალისხმევას მოითხოვდა და მეორეც, რომ აღმოეჩნათ კონკრეტული მაღაზია, მერე გამყიდველს უნდა გაეხსენებინა, ვინ მიაწოდა კუპიურა, რაც წარმოუდგენელი იყო. მით უმეტეს, რომ მაღაზიები ბანკებში ფულს კვირაში ერთხელ, ან ორჯერ აბარებდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ გამყიდველს არა მარტო კუპიურა, არამედ ის დღეც უნდა გაეხსენებინა, როცა აღნიშნული შემთხვევა მოხდა.

ყველაფერი, ერთი შეხედვით, ძალიან მარტივად გაირკვა – განყოფილებაში „ხაზეიკამ“ დარეკა და გამომძიებელს უთხრა, ვიცი, ვინც მოიპარა თანხა, ამ საღამოს მოდით და ყველაფერს თქვენს თვალწინ დავამტკიცებო. რა თქმა უნდა, სამართალდამცავები საღამოს მამაკაცის ბინაში იყვნენ, სადაც „ხაზეიკა დახვდათ და ის მშვიდად ამბობდა, დაველოდოთ, ქურდი თავის ფეხით მოვაო. ცოტა ხანში, კარზე მასწავლებელმა დააკაკუნა.

„ახლა, ბატონო გამომძებლებო, კეთილი ინებეთ და ამ მასწავლებლის ჩანთა გაჩხრიკეთ. იქ ნახავთ კუპიურებს, რომელთა ნომრებიც დაემთხვევა დაკარგული კუპიურების ნომრებს“, – განაცხადა „ხაზეიკამ“. მასწავლებელმა გაოცებისგან პირი დააღო და თავის ხელით წამოაპირქვავა ჩანთა, საიდანაც სხვადასხვა ნივთებთან ერთად, გარკვეული თანხაც გადმოიყარა. კუპიურების ნომრები მართლაც დაემთხვა. მამაკაცი აიწურა, მასწავლებელს გული წაუვიდა, „ხაზეიკა“ კი გამარჯვებული სახით, ამაყად იმზირებოდა.

„დღეს სკოლაში ვიღაც ქალმა მომაკითხა, მითხრა, რომ მის შვილს რეპეტიტორი სჭირდებოდა და ისიც მთხრა, სამი თვის ფულს წინასწარ მოგცემ, ოღონდ უარი არ მითხრაო. ფული რომ მჭირდება, კი იცით, ისიც იცით, რისთვის მჭირდება და უარი ვერ ვუთხარი. მერე „ხაზეიკამ“ დარეკა სკოლაში, მითხრა, მოდიო და მოვედი“, -განაცხადა მასწავლებელმა.

გამოდიოდა, რომ სახლის მეპატრონემ ზუსტად იცოდა, რომ ქალს მოპარული კუპიურები ექნებოდა, მაგრამ როგორ და რაც მთავარია, ვინ იყო ის ქალი, ვინც მასწავლებელს ფული შეაჩეჩა?

„მდგმურის ყოფილი ცოლი ჩემი ახლო მეგობარია. ის ხშირად მოდიოდა ჩემთან, ქმრის ამბებს კთხულობდა, დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან, ქმარი დაუბრუნდებოდა, მაგრამ მერე, როცა დარწმუნდა, რომ ის დაბრუნებას არ აპირებდა, გამწარდა და თქვა, ნახავს, რა დღეში ჩავაგდებო. როცა ფული დაეკარგა, მას ვუთხარი, ასეთი ამბებია-მეთქი და ვიცი, ფული ვინც მოიპარა, ქურდს დაგაჭერინებო. დღეს სწორედ მისი მითითებით გავაკეთე ყველაფერი“, – მხრები აიჩეჩა „ხაზეიკამ“, რომელმაც აბიტურიენტსა და მასწავლებლისთვის შეჩეჩებულ კუპიურებზე არაფერი იცოდა. სხვა რა გზა იყო, ძალოვნებმა ახლა დაზარალებულის ყოფილი ცოლი დააკავეს, თან მის ბინაში ჩხრეკა ჩაატარეს და მთელი თანხა იპოვეს.

„დიახ, ამ ბებერ ულაყს მე მოვპარე ფული, რადგან ის ჩვენი ერთბლივი შრომით იყო ნაშოვნი. ჩემს დაქალს მეორე ბინის გასაღები მუდმივად კედელზე ეკიდა, ერთ დღეს მოვიპარე, ასლი დავამზადებინე და ისევ დავაბრუნე. როცა ჩემი ქმარი სახლში არ იყო, ფული მაშინ ავიღე და მერე ის სკანდალი მოხდა. მინდოდა, ამ მასწავლებელსაც დაშრებოდა და შინ დაბრუნებულიყო“,-განაცხადა ცოლყოფილმა.

სასამართლო პროცესები კარგა ხანს გაგრძელდა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ფულის ნახევარი ყოფილ ცოლს ერგო, კაცმა კი მასწავლებელი ცოლად მაინც მოიყვანა.

დიდი სისხლიანი შურისძიება

როგორ გააკოტრა ფიტნეს-კლუბის მფლობელმა კონკურენტი

ბათო ჯაფარიძე

კონკურენცია ბიზნესებს შორის ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება. მაშინაც კი, როცა კომუნისტების დროს ყველაფერი სახელმწიფოს კუთვნილება გახლდათ, ქარხნებისა თუ მაღაზიების დირექტორებს არაოფიციალური კონკურენცია ჰქონდათ. ისინი ქრთამსაც კი იხდიდნენ, რომ კონკურენტ მაღაზიას საქონელი დროულად არ მიეღო, საუკეთესო მათ წაეღოთ, თუ შემთხვევით იუგოსლავური და ჩეხოსლოვაკური ფეხსაცმელი ჩამოვიდოდა, როგორმე მათ შეხვედროდათ და ეს პროდუქცია მაშინ „დახლს ქვემოდან" იყიდებოდა ანუ რეალურად, ნაცნობი გჭირდებოდა მაღაზიაში, სასურველი ნივთი რომ მიგეღო. ჰო, ამისთვის გამყიდველისთვის ცოტა მეტი უნდა გადაგეხადა იმ ფეხსაცმელში, რომელსაც მაღაზიის დირექტორი უკვე არარეალურ ფასად ყიდდა. შედარებისთვის, შავ ბაზარზე, ნამდვილი, ამერიკული „მარლბორო" 6-7 მანეთად იშოვებოდა, არადა, იმ პერიოდში „კოსმოსი" და „კოლხეთი" მანეთიც არ ღირდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, კონკურენციამ სხვა მასშტაბები შეიძინა. 90-იანებში იყო ტერორი, რეკეტი, კონკურენტის ბიზნეს-ობიექტისთვის ცეცხლის წაკიდების მცდელობა, კრიმინალური ავტორიტეტების მიგზავნა... მერე ყველაფერი ეს უფრო „დაიხვეწა" და საქმეში უკვე სახელმწიფო სტრუქტურები ჩაერთნენ – საგადასახადო, საფინანსო და ა.შ. ყველაფრის მიუხედავად, კონკურენცია დღესაც არსებობს და ცოტა არ იყოს, არაჯანსაღი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ სანამ მთავრობა და უშუალოდ პრემიერი არ ჩაერია, მაგალითად, სააფთიაქო ბიზნესს რიგითმა ადამიანებმა ვერაფერი მოუხერხეს და წლების განმავლობაში, წამლებში არარეალურ ფასებს იხდიდნენ. ეჭვია, რომ იგივე ხდება საწვავის შემთხვევაში და მსხვილი კომპანიები ბენზინგასამართ სადგურებზე გაბერილ ფასს მოლაპარაკებების შემდეგ ადებენ და მოსახლეობას ყვლეფენ. ცუდი არ იქნება, თუ მთავრობა ამ თემითაც დაინტერესდება და ზოგადად, არც ის იქნება ცუდი, კონკურენციის სააგენტო უფრო ეფექტურად თუ იმუშავებს და მის არსებობას ქვეყანაში რიგითი ადამიანებიც იგრძნობენ.

ერთი პერიოდი, თბილისში ფიტნეს-კლუბების ბუმი დაიწყო და ყველა ცდილობდა, ვარჯიშის მოყვარული ადამიანები როგორმე გადაებირებინა. ფიტნეს-კლუბების მომრავლებასთან ერთად, მომრავლდა გასახდელებში ნივთების დაკარგვის ფაქტები, ქურდობდა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა და რამდენიმე კლუბმა, უსაფრთხოების მიზნით, ვიდეოთვალი დააყენა, თუმცა შედეგი არც ამან გამოიღო – შედიოდნენ ნიღბიანი ტიპები, ვიდეოთვალს ნაჭერს აფარებდნენ, ან ჩვეულებრივი სამედიცინო შპრიცით საპნიან წყალს ასხამდნენ და ნივთებს იტაცებდნენ. ჰოდა, არაერთგან ცოცხალი დაცვაც გამოჩნდა, რომელიც გასახდელში მუდმივად იყო, არსად გადიოდა და თუ მამაკაცების გასახდელში დარაჯის ფუნქციას მამაკაცი ასრულებდა, გოგონებთან იგივეს გოგონა ითავსებდა. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, ამ იდეის ავტორი ერთ-ერთი კლუბის მეპატრონე შემოსავლთაც ბედნიერი იყო და ახალი ინვესტიციის გაკეთებასაც გეგმავდა, როცა მისი კლუბის გასახდელში გაუთვალისწინებელი რამ მოხდა.

„ყველაფერი ჩვეულებრივად იყო, ბიჭები მოდიოდნენ, იცვლიდნენ, ნივთებს ინახავდნენ, მიდიოდნენ. ის მამაკაციც მახსოვს, მოვიდა, გამოიცვალა, ივარჯიშა, შხაპი მიიღო და გამოცვლა დააპირა. როცა კარადა გახსნა, იქიდან სპორტული ჩანთა გამოიღო, ელვაშესაკრავი გასწია და აფეთქების ხმაც გაისმა. აფეთქების ხმა დახურულ სივრცეში იმდენად ძლიერი იყო, წნევამ ყურები დამიგუბა და დავეცი, კარგა ხანს ვერ გავიგე, რა ხდებოდა. მერე აზრზე მოვედი და სასწრაფოში დავრეკე. როცა დაზარალებული წაიყვანეს, სუნთქვადა და დარწმუნებული ვარ, გადარჩებოდა", – ამბობდა დაცვის თანამშრომელი.

მთავარი ეჭვმიტანილი გამოძიებისთვის სწორედ ის იყო, რადგან ამტკიცებდა, საეჭვო არავინ შემინიშნავს, ოთახიდან არ გავსულვარ, არც იქ შემოსულა ვინმე საეჭვო, ჩანთაში ასაფეთქებელი რომ დაემონტაჟებინაო. ასეთ შემთხვევაში, გამოდიოდა, რომ დაზარალებულმა თავად დაამონტაჟა ბომბი და თავიც თავად აიფეთქა, რაც გამორიცხული იყო. რაც შეეხება დაზარალებულს, ის არც ცნობილი პიროვნება იყო, არც ბევრი ფული ჰქონდა, მანქანაც კი არ ჰყავდა და წესით, მის მიმართ არავის უნდა ჰქონოდა ინტერესი. ექიმების თქმით, დაზარალებულს აფეთქებისგან სახე ლამის მთლიანად ჰქონდა დამწვარი, მაგრამ ალის გადაყლაპვას გადაურჩა და ამიტომ, სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა, აი, სახის მკურნალობა კი თვეების განმავლობაში მოუწევდა.

„ჩემს დაცვას ვენდობი, ამ თანამდებობაზე სულ ახლობლები მყავს ანუ ჩემი აზრით, ის სიმართლეს ამბობს. ჰქონდა თუ არა ასაფეთქებელი იმ უბედურს ჩანთაში, ვერ გეტყვით, მაგრამ გამორიცხულია, დაცვა ტყუილს ამბობდეს", – უთხრა სამართალდამცავებს კლუბის მფლობელმა ქალმა. ძიებამ დაადგინა, რომ აფეთქებული მამაკაცი სამიოდე თვის წინ ცოლს დაშორდა, რომელიც სულ რაღაც ორი კვირის მოყვანილი ჰყავდა და გოგოს ძმა იმუქრებოდა, მოვკლავო. გადაამოწმეს ყოფილი ცოლის ძმის ალიბი და იმ დღეს, ის თბილისში არ იმყოფებოდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, ვინმესთვის დაევალებინა, ეთხოვა...

„ჩემი აზრით, ყველაფერი სწორედ ყოფილი ცოლის ძმის მოწყობილია. მის გარდა, მე არც მტერი მყავს და არც არავინ მემუქრებოდა. რაც შეეხება ასაფეთქებელს, დარწმუნებული ვარ, სწორედ ფიტნეს-კლუბის გასახდელში ჩამიდეს, რადგან არ მგონია, დაცვამ უარყოს ის ფაქტი, რომ როცა შემოვედი, ჩანთა გავხსენი, იქიდან სპორტულები ამოვიღე და მაშინ რატომ არ აფეთქდა არაფერი? როცა სპორტულების უკან ჩადება მინდოდა, სწორედ მაშინ გაისმა აფეთქება", – აცხადებდა დაზარალებული და მართალი იყო. ვიდეოთვალის ჩანაწერებში კარგად ჩანდა, როგორ მოვიდა მამაკაცი, როგორ ამოიღო ჩანთიდან სპორტულები, როგორ შეკრა ჩანთა და უდარდელად შეაგდო კარადაში, შემდეგ, როგორ შემოვიდა ნავარჯიშევი, როგორ აიღო პირსახოცი, მიიღო შხაპი და უკან დაბრუნებულმა ისევ უდარდელად გამოიღო ჩანთა, გახსნა და აფეთქებაც გაისმა.

საინტერესო ის გახლდათ, რომ მთელ ჩანაწერში დაცვა გასახდელში იდგა, ის კადრში ჩანდა, არც დაზარალებულის კარადას მიკარებია ვინმე, მაგრამ... ვიდეოჩანაწერს 7-წუთიანი მონაკვეთი აკლდა. როგორც გაირკვა, ამ დროს მოწყობილობა მწყობრიდან გამოვიდა და სანამ შეაკეთებდნენ, სწორედ ეს პერიოდი დასჭირდა. კლუბის კომპიუტერის სპეციალისტი ამბობდა, როგორც კი ვიდეოთვალი გაითიშა, დაცვა გავაფრთხილე, სანამ გავაკეთებ, პოსტს არ მოსცილდეთ-თქო და გამორიცხულია, რომელიმეს მითითება არ შეესრულებინაო. ყველაფერი ეს რეალობასთან ახლოს კი იყო, მაგრამ ფაქტია, რაღაც სწორედ იმ შვიდ-წუთიან მონაკვეთში მოხდა.

ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ასაფეთქებელი ჩვეულებრივი „ხლაპუშკებისგან" იყო აწყობილი და ათი იმდენიც რომ ყოფილიყო, დაზარალებულის გარდაცვალების შანსი პრაქტიკულად ნულს უტოლდებოდა ანუ ამფეთქებელს რეალურად მისი შეშინება სურდა და არა – მოკვლა, გათვლა იყო იმაზეც, რომ დახურულ სივრცეში, არცთუ დიდ გასახდელში, აფეთქება წნევას შექმნიდა და აკი, შექმნა კიდეც. ყველაფერს ისიც დაერთო, რომ მომხდარის შესახებ ხმა მალე გავრცელდა და ფიტნეს-კლუბის ვიზიტორები უბრალოდ გაქრნენ, ისინი აღარ მიდიოდნენ იქ, სადაც თავს დაცულად ვერ გრძნობდნენ. მეპატრონე ჯიუტად იმეორებდა, კონკურენტის მოფიქრებული და გაკეთებულია ყველაფერიო და ყოველი შემთხვევისთვის, ძალოვნებმა გვერდით მყოფი ფიტნეს-კლუბის მეპატრონე გადაამოწმეს, დაჰკითხეს კიდეც და მართალია, დაკითხვიდან ვერაფერი გაიგეს, ის ყველაფერს უარყოფდა, მაგრამ ის კი დაადგინეს, რომ დაზარალებული და კონკურენტი კლუბის მეპატრონე თანაკურსელები იყვნენ და საკმაოდ კარგი ურთერთობა ჰქონდათ. გადაამოწმეს სატელეფონო ზარებიც და ბოლო პერიოდში ისინი აქტიურად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. გადაწყდა, დაზარალებული კიდევ ერთხელ დაეკითხათ, ოღონდ მანამდე კლუბში მივიდნენ, მის თანაკურსელს ხელბორკილი დაადეს, შემდეგ გაუღიმეს, შესაშინებლად გვინდოდაო და წავიდნენ. ყველაფერი ვიდეოთვალით გადაიღეს და საავადმყოფოში მისულებმა დაზარალებულს ანახეს, შენი „პადელნიკი" დავაკავეთ და ხელს სწორედ შენ გადებსო.

„რა სისულელეა? ყველაფერი თავად მოიფიქრა, აქედან რომ გამოვალ, სახეს ავახევ, მითხრა, არაფერი დაგემართებაო და კინაღამ მოვკვდი. სანაცვლოდ, მთელი ცხოვრება მის კლუბში უფასოდ უნდა მევლო. ორგანიზატორიცა და შემსრულებელიც ეგაა, ვიცი, ვისაც დაავალა „ხლაპუშკებისგან" ასაფეთქებლის დამზადება, მე უბრალოდ ჩანთაში უნდა ჩამედო, როცა ჩანთას დავხურავდი, პატარა ძაფი ელვის საკიდზე ყულფით ჩამომეცვა, გახსნისას ის ძაფი „ხლაპუშკებს" მოქმედებაში მოიყვანდა და წესით, მცირე აფეთქება უნდა მომხდარიყო", – ამბობდა დაზარალებული.

კონკურენტი კლუბის მეეპატრონე უკვე ოფიციალურად დააპატიმრეს და მან უფრო საინტერესო რამ მოყვა – იდეა კი ჩემი იყო, მაგრამ ისიც სიხარულით დამთანხმდა, ყველაფერს ყოფილ ცოლის ძმას შევტენი, მეშინია, სადმე არ დამხვდესო. წესითა და რიგით, ისტორია ამით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ხალხს მხოლოდ ცუდი სჯერა და კარგი არა, ფიტნეს-კლუბს, სადაც აფეთქება მოხდა, აღარავინ ეკარებოდა და მეპატრონე იძულებული გახდა, მის ადგილზე ტანსაცმლის მაღაზია გაეხსნა.

ბათო ჯაფარიძე

ბოლო დროს, ალბათ, არავის გაუგია, რომ საქართველოში ავტომობილი მოიპარეს. ძალიან, ძალიან იშვიათად ხდება ჩვენთან ავტომანქანის გატაცება და ამიტომაც მფლობელები მშვიდად არიან. ზოგადად, ავტომანქანის გატაცება მფლობელისთვის ყოველთვის ტრაგედია იყო. ადრე, კომუნისტების დროს, სამართლდამცავებთან გარბოდა დაზარალებული, მერე, შევარდნაძის პერიოდში – „კანონიერ ქურდებთან“, სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს კი შემთხვევები ჯერ შემცირდა, შემდეგ მინიმუმამდე დავიდა, ახლა კი, პრაქტიკულად, გამქრალია. მეტიც, ავტომობილის გატაცება შსს-ს დღევანდელ სტატისტიკაში ერთ-ერთ ბოლო ადგილს იკავებს და რა თქმა უნდა, ეს ძალიან კარგია.

რატომ გაიტაცა ახალგაზრდა ქალმა ძმისშვილი

ცნობილი ბიზნესმენის „ქამინგ აუთი“ და „ჰეფი ენდით“ დასრულებული კრიმინალური ამბავი

„ავტომობილით მივდიოდი, როცა წინ ვიღაც კაცი გადამიდგა ყვირილით და ხელების ქნევით, მიშველე, ავტომობილი მომპარესო. მანქანა გავაჩერე, გადმოვედი, ვკითხე, რა და როგორ მოხდა, მან კი მიპასუხა, საბავშვო ბაღის წინ მეყენა მანქანა, დავქოქე, მერე გადმოვედი, საბურავისთვის უნდა შემეხედა და რომ დავიხარე, ვიღაც ჩაჯდა მანქანაში და გაიტაცაო. კაცი ამბობდა, ერთ „კანონიერ ქურდს“ ვიცნობ, იმასთან უნდა წავიდეო. რა თქმა უნდა, არ გავუშვი, მანქანაში ჩავსვი და „გაი“-ს უახლეს პოსტს მივადექი, რაციით გადავაცემინე თეთრი „ვოლგის“ მონაცემები. მამაკაცი უიმედოდ აქნევდა თავს, მე მოთიმებით ველოდი“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საგზაო ინსპექციამ გადასარევად იმუშავა, რადგან ქალაქიდან გასასვლელი ყველა გზა მალევე იყო შეკრული, მაგრამ მოულოდნელი ინფორმაცია მეზობელი რაიონის განყოფილებიდან მოვიდა – გამტაცებელმა მანქანა მილიციის ეზოს შესასვლელთან დატოვა. კაცი სიხრულისგან ხტოდა, ისევ ბატონ თენგიზს სთხოვა, მადლი ჰქენი და ბარემ, მარილიც მოაყარე, მანქანასთან მიმიყვანეო და გამომძიებელიც დათანხმდა. მანქანის დანახვისთანავე კაცს სიხარულით ლამის გული წაუვიდა, დაათვალიერა, შემოურბინა, ნაავარიევი არ არისო, შემდეგ კი... მოულოდნელად სამართალდამცავებს მიუტრიალდა და ჩუმად თქვა – „ბავშვი... ბავშვი არ არის მანქანაში“...

ძალოვნებმა გაოცებისგან პირი დააღეს, მამაკაცს ბავშვი საერთოდ არ უხსენებია, მხოლოდ მანქანას ახსენებდა და ის, რომ გატაცებულ ავტომობილში ბავშვიც იყო, კრინტი არ დაუძრავს.

„სიბრაზისგან ლამის ხელი დავარტყი. მანქანაზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე 3 წლის შვილზე. საქმე მაშინვე ბავშვის გატაცების მოტივით აღიძრა, ეჭვი გვქონდა,რომ „ვოლგის“ პატრონს შემოსავალიც საკმარისი ექნებოდა. მაშინვე გამოვკითხეთ, ვის შეიძლებოდა გაეტაცებინა ბავშვი და მხრები აიჩეჩა, მე რა ვიცი, ჩემს ცოლს ჰკითხეთ, იმის შვილიაო“, – ამბობს ბატონი თენგიზი.

როგორც გაირკვა, გატაცებული ბავშვი მანქანის მფლობელის გერი იყო. მას კარგი სამსახური ჰქონდა, ბევრ ფულსაც შოულობდა და უცნაური აზრები აწუხებდა. როგორც სამართალდამცავებს უთხრა, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობდა, დრო არ ჰქონდა, საცოლე ეძებნა, ამიტომ ქმარგანაშვები ბუღალტერი მოიყვანა, რომელსაც შვილიც მოჰყვა და წვალებაც არ დასჭირდებოდა მემკვიდრისთვის. მეტიც, ის შვილს საკუთრად ვერ აღიქვამდა და არც აინტერესებდა, უბრალოდ, ახლა ტვინს არავინ უჭამდა, ცოლი რატომ არ გყავსო. იმ დღესაც, ბავშვის გამოსაყვანად მხოლოდ იმიტომ მივიდა, რომ ცოლი ცუდად იყო, თორემ ბავშვის საქმეებით ყოველთვის და მთლიანად ცოლი იყო დაკავებული. კაცი იმასაც ამბობდა, ჩემი დამოკიდებულება ამ ბავშვის მიმართ ყველამ იცის და მეეჭვება, ვინმეს იმიტომ გაეტაცებინა, ფული გამოეძალა, რადგან ერთი კაპიკის გადამხდელი არ ვარო.

რა თქმა უნდა, სამართალდამცავებისთვის ეს მძიმე მოსასმენი იყო, მაგრამ ამის მიუხედავად, ისინი ვალდებულები გახდნენ, ბავშვი ეძებნათ და საქმეს შეუდგნენ. პირველ რიგში, ბაღის პერსონალი დაჰკითხეს, ვინმე ხომ არ შეგიმჩნევიათ ისეთი, ვინც საეჭვოდ იქცეოდაო და ორმა გაიხსენა, რომ ბოლო დღეებში, ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, ახალგაზრდა გოგონა მოძრაობდა და თითქოს, ვიღაცას თუ რაღაცას ელოდა. გოგოს თავზე ქუდი ეფარა, სპორტული შარვალი ეცვა. მას ყურადღებას არავინ აქცევდა, მაგრამ როცა ასეთი შემთხვევა მოხდა, გაიხსენეს. „ვოლგის“ პატრონმაც თქვა, ვიღაც გოგო, რომ მოვედი, მაშინ შევამჩნიე, მაგრამ არ მაინტერესებდა, ერთი გავხედე და შევეშვი, მაგრამ მერე, როცა მანქანა გაიტაცეს, იქ აღარ იყოო. ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო გოგონა, თანაც გამტაცებელი და თანაც ისეთი, მანქანის ტარება რომ შეეძლებოდა? მაშინ ქალები საჭესთან იშვიათად იყვნენ და ისიც თითზე დასათვლელი. ძალოვნებმა გაცემულ მართვის მოწმობებზე დაიწყეს იმის შემოწმება, ხომ არ იყო ვინმე ძალიან ახალგაზრდა მათ შორის და... ვერავინ აღმოაჩინეს. უფრო ზუსტად, კი იყო ერთი გოგო, მაგრამ ის იმ დროისთვის, როცა დანაშაული მოხდა, ბელორუსში იმყოფებოდა. გამოძება ჩიხში შევიდა. ბავშვის დედა კედლებს აწყდებოდა, წარმოდგენა არ მაქვს, ვის შეიძლებოდა მოეპარა ჩემი შვილი, მტრები არ მყავს, რიგითი ბუღალტერი ვარ და ჩემმა მეგობრებმაც იციან, რომ შვილი კი არა, მეც რომ მომიპარონ, ჩემი ქმარი არაფრის გადამხდელი არ არისო. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ გამტაცებლები არ რეკავდნენ, არაფერს ითხოვდნენ და ამიტომ, გამოძიება ბავშვის მამით დაინტერესდა.

ქალმა თავი დახარა და ჩუმად თქვა, ბავშვის მამა ჩემი ბავშვობის სიყვარულია... ერთადაც ვცხოვრობდით ცოტა ხანს, შემდეგ თითქოს ვერ შევეწყვეთ, ის წავიდა და მე ბავშვი გავაჩინე, მერე კი გავთხოვდი, რადგან გვერდით მამაკაციც მინდოდა და თან ბუღალტრობის მიუხედვად, ეკონომიკურად ცოტა მიჭირდა. გამომძიებლებმა მამაკაცის მოძებნა გადაწყვიტეს.

„მასთან სახლში მეც მივედი და კარი ახალგაზრდა გოგონამ გააღო... სპორტული შარვლით, კეპიც ეფარა... მივხვდი, რომ ჩემს წინ გამტაცებელი იდგა. გოგონამ ცოტა დაბნეულად შემოგვხედა, მერე შინ შეგვიპატიჟა. სამზარეულოში 3 წლის ბიჭი პურის ქერქს ღრღნიდა და როგორც გოგომ გვითხრა, ის მისი ძმის შვილი იყო“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ნათელი იყო და არც გოგოს დაუმალავს, რომ ბავშვი ძმისთვის მოიტაცა, რომელიც როგორც შვილის, ისე მისი დედის სიყვარულით იტანჯებოდა. ძმამ კი გადაწყვიტა, ყველაფერი ეს ყოფილი ცოლისთვის ეამბნა და სწორედ მასთან წავიდა. სხვა რა გზა იყო – გოგონა დააპატიმრეს, ბავშვი დედას დაუბრუნეს, მამაკაცს კი ვერაფერი უქნეს, რადგან მან რეალურად დანაშაული აღიარა და გატაცებული ბავშვის დედას შეატყობინა. ძალოვნებმა ისიც გაარკვიეს, რომ გოგონას ავტომანქანის ტარება თავის დროზე მამამ ასწავლა და იმის მიუხედავად, რომ მართვის მოწმობა არ ჰქონდა, კარგი მძღოლი იყო. საბავშვო ბაღის წინ კი იმ იმედით მიდიოდა, რომ შანსი მისცემოდა და მისი ძმის შვილის დედას მარტო გამოლაპარაკებოდა, აეხსნა, რას გრძნობდა მისი ძმა, მაგრამ მარტო ვერ მოიხელთა. იმ დღეს კი, დაინახა, როგორ უდარდელად მოისროლა მამინაცვალმა ბავშვი უკანა სავარძელზე, როგორ უდარდელად მიატოვა მანქანაში, არც კი აინტერესებდა, პატარა როგორ იყო და გადაწყვეტილება მაშინვე მიიღო.

„მერე ყველაფერი ინდური ფილმივით განვითარდა – გოგონას ყველა ბრალდება მოუხსნეს, რადგან არც დედა ჩიოდა, არც მისი ქმარი, რომელმაც ცოლთან საერთოდ დაშორება გადაწყვიტა, აქაოდა, პრობლემის და ხარჯის მეტი ვერაფერი ვნახეო. ქალი საცხოვრებლად ბავშვის მამასთან გადავიდა და მალე მეორე შვილიც შეეძინათ“, – დაასრულა მოყოლა ბატონმა თენგიზმა.

სხვათა შორის, ის კაცი, ვისაც „ვოლგა“ მოპარეს, დიდ ბიზნესმენად კი იქცა, მაგრამ მალე ისიც ითქვა,რომ ქალები ნაკლებად აინტერესებდა და აღიარა კიდეც, გეი ვარო, ოღონდ ეს აღიარება საზღვარგარეთ მოხდა, სადაც მან თავისი ბიზნესიც წაიღო და მეწყვილეც იპოვა – უცხოელი მამაკაცი, რომელსაც მისავით უძგერდა გული. ქალი კი... საკმაოდ კარგი ბუღალტერი არაერთ დიდ კომპანიაში მუშაობდა, შემდეგ საკმაოდ ცნობილ ბანკში, ბოლოს კი... ბოლოს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, თავისი უფროსი შვილის ქორწილის დღეს გარდაიცვალა.

პოლიციამ კახეთში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1990 წელს დაბადებული ბ.მ. დააკავეს. დანაშაული 10-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა რომ, ბრალდებულმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ფინანსურ თემაზე წარმოქმნილი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, 1994 წელს დაბადებულ ჯ.მ.-ს ცივი იარაღით სასიკვდილო დაზიანება მიაყენა.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს. განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

სარფის საბაჟოზე 2 კილოგრამამდე არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის მცდელობა აღკვეთეს



ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრების მიერ, საბაჟო გამშვებ პუნქტში „სარფი“, ეჭვის საფუძველზე, უცხო ქვეყნის მოქალაქის რ.ჰ-ს, მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტომობილისა და მისი ფიზიკური დათვალიერების შედეგად, 1657.27 გრამი არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები გამოვლინდა.

ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, სამართალდამრღვევ მოქალაქეს მცირე ზომის 6 შეფუთვაში მოთავსებული ოქროს ნაკეთობები ტანსაცმელში მალულად ჰქონდა განთავსებული.

„ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ სავალდებულო დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 163 108.47 შეადგინა. საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეგზავნა“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

პროკურატურამ საგარეჯოში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 11 ნოემბერს, საგარეჯოს რაიონის სოფელ ქეშალოში, ვალთან დაკავშირებით წარმოშობილი ურთიერთშელაპარაკების დროს, ბრალდებულმა დაზარალებულს დანით სხეულის სხვადასხვა არეში რამდენიმე ჭრილობა მიაყენა. მიღებული დაზიანებების შედეგად დაზარალებული საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ბრალდების მხარე, ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, თელავის რაიონულ სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სუს-ის მიერ დაკავებულ უცხო ქვეყნის ორ მოქალაქეს პატიმრობა შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის, ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის საქმეზე, სუს-ის მიერ დაკავებულ უცხო ქვეყნის ორ მოქალაქეს, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა შეუფარდა.

ბრალდების მხარის განცხადებით, სასამართლომ სრულიად გაიზიარა მათი პოზიცია, რომ არსებობდა ყველაზე უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის შეფარდების საფუძველი.

„სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის პოზიცია, რომ არსებობდა ორივე ბრალდებულის მიმართ ყველაზე უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობის გამოყენების საფუძველი. კერძოდ, არსებობდა მათი მხრიდან მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენისა და გამოძიებისთვის ხელის შეშლის საფრთხე. რაც შეეხება ფაქტობრივ გარემოებებს, გამოძიება მიმდინარეობს რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის, საქართველოში მიგრანტების უკანონოდ შემოყვანასთან და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნასთან დაკავშირებით, ასევე, ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვასთან დაკავშირებით“, – აღნიშნა საქმის პროკურორმა.

ცნობისთვის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულმა ცენტრმა, წარმოებული კონტრტერორისტული საქმიანობის პროცესში, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანისა და მისთვის საქართველოში ყოფნისთვის შესაბამისი პირობების შექმნის მომზადების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, გატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე 11 ნოემბერს დააკავა.

ნაფიცმა მსაჯულებმა გენდერის ნიშნით, ბიძაშვილის მკვლელობის ფაქტზე დაკავებულს უვადო პატიმრობა მიუსაჯა

ნაფიცმა მსაჯულებმა გენდერის ნიშნით, ბიძაშვილის მკვლელობის ფაქტზე დაკავებულს უვადო პატიმრობა მიუსაჯა – გამოძიების ინფორმაციით, მამაკაცმა, რომელიც ნათესავის ცხოვრებას აკონტროლებდა, ქალი ელექტროშოკით აწამა.

ნაფიცმა მსაჯულებმა გენდერის ნიშნით, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის ფაქტზე ბრალდებული დამნაშავედ სცნეს და სასამართლომ მას უვადო თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, სასამართლო პროცესზე დადგინდა, რომ ბრალდებული მამაკაცი და მოკლული ქალი ბიძაშვილები იყვნენ. მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე, ბრალდებული დაზარალებულის ბინაში საცხოვრებლად გადავიდა და გადაწყვიტა, ეკონტროლებინა ბიძაშვილის ცხოვრება, მისი ურთიერთობები ოჯახის წევრებთან, მეგობართან. მამაკაცი ქალზე ფიზიკურად ძალადობდა, უღებდა სექსუალური ხასიათის ფოტოებსა და ვიდეოებს.

„მკვლელობის დღეს, 2023 წლის 28 აპრილს, ბრალდებული დაზარალებულს რამდენიმე საათის განმავლობაში სასტიკად სცემდა და ელექტროშოკით აწამებდა. მიყენებული დაზიანებებით დაზარალებული ადგილზე გარდაიცვალა.

ბრალდების მხარემ სასამართლო პროცესზე წარადგინა დამაჯერებელი მტკიცებულებები, რომელთა ერთობლიობაც ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენას ადასტურებდა. ნაფიცმა მსაჯულებმა, ბრალდებული დამამძიმებელ გარემოებებში – გენდერის ნიშნით და განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაში დამნაშავედ სცნეს, სასამართლომ მას სასჯელის მაქსიმალური ზომა – უვადო თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა“, – ნათქვამია უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ნაკრები ბოლო მატჩებისთვის მზადებას იწყებს

საქართველოს ეროვნული ნაკრები 16 და 19 ნოემბერს, ევროპის 2024 წლის საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო ორი შეხვედრისთვის მზადებას იწყებს. ვილი სანიოლმა გუნდში 25 ფეხბურთელს უხმო და ცოტა არ იყოს, გაგვაკვირვა (და არა მარტო ჩვენ), როცა შემადგენლობაში საბა ლობჟანიძის გვარი ვერ ამოვიკითხეთ. ვინ უნდა ითამაშოს მარჯვენა ფრთაზე, ვერ გეტყვით, მაგრამ სავარაუდოდ, სანიოლს რაღაც გეგმა ექნება.

16 ნოემბერს, 21 საათზე, ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“, შოტლანდიას ვმასპინძლობთ, 19-ში კი, ვალიადოლიდში ესპანეთს ვსტუმრობთ. ესპანური შეხვედრა თბილისის დროით 23.45 საათზე დაიწყება და ორივე შეხვედრის პირდაპირ რეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგვთავაზებს. სატურნირო მდგომარეობის თვალსაზრისით, ამ შეხვედრებს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს – 5-გუნდიან ჯგუფში მეოთხეზე ვართ და არც მესამეზე ასვლის შანსი გვაქვს და არც ბოლოზე დავქვეითდებით. არა, თუ შოტლანდიასაც და ესპანეთსაც მოვუგებთ და თავის მხრივ, ნორვეგია დარჩენილი ორი შეხვედრიდან, ერთს მაინც წააგებს, მესამეზე კი გავალთ, მაგრამ ეს ძალიან თამამი განაცხადია. რაც შეეხება ნაკრებს, ჩვენი გუნდის შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მეკარეები: გიორგი მამარდაშვილი („ვალენსია“, ესპანეთი), გიორგი ლორია („დინამო“, თბილისი), ლუკა გუგეშაშვილი („ყარაბახი“, აზერბაიჯანი);

მცველები: გურამ კაშია („სლოვანი“, სლოვაკეთი), საბა კვირკველია („ალ ახდუდი“, საუდის არაბეთი), ოთარ კაკაბაძე („კრაკოვია“, პოლონეთი), ლუკა ლოჩოშვილი („კრემონეზე“, იტალია), გიორგი გოჩოლეიშვილი, ირაკლი აზაროვი (ორივე „შახტარი“, უკრაინა), ივა გელაშვილი („სპეცია“, იტალია), ალექსანდრე კალანდაძე („დინამო“, თბილისი);

ნახევარმცველები/თავდამსხმელები: ნიკა კვევკესკირი („ლეხი“, პოლონეთი), გაბრიელ სიგუა („ბაზელი“, შვეიცარია), გიორგი ქოჩორაშვილი („ლევანტე“, ესპანეთი), გიორგი აბურჯანია („ჰატაიასპორი“, თურქეთი), ვლადიმერ მამუჩაშვილი („დინამო“, ბათუმი), ანზორ მექვაბიშვილი („დინამო“, თბილისი), სანდრო ალთუნაშვილი („ვოლფსბერგერი“, ავსტრია), ლევან შენგელია („პანეთოლიკოსი“, საბერძნეთი), გიორგი ჩაკვეტაძე („უოტფორდი“, ინგლისი), ზურიკო დავითაშვილი („ბორდო“, საფრანგეთი), გიორგი მიქაუტაძე („აიაქსი“, ნიდერლანდები), დავით ვოლკოვი („საბაჰი“, ბაქო), ხვიჩა კვარაცხელია („ნაპოლი“, იტალია), ბუდუ ზივზივაძე („კარლსრუე“, გერმანია).

ისტორია დაიწერა – პირველი მედალი მსოფლიოზე

ბრიტანეთში, კერძოდ, ქალაქ ბირმინგემში, ბატუტზე ხტომაში მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდა. პლანეტის პირველობაზე საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა და ალალად ვთქვათ, იმედი არ გვქონდა, რომ ჩვენი გოგონები მედლისთვის იბრძოლებდნენ, რადგან დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში აქამდე არასდროს ყოფილა, რომ ამ სახეობაში მსოფლიოს ჩემპიონატზე მედალი მოგვეპოვებინოს, მაგრამ... ჩვენმა გოგონებმა ძალიან კარგად იასპარეზეს და ისტორიაც დაწერეს – ქართულმა ოთხეულმა მესამე ადგილზე გასვლა და ბრინჯაოს მედლების მოპოვება მოახერხა.

ჩვენი გუნდის შემადგენლობაში, ისტორიულ ჩემპიონატზე ლუბა გოლოვინა, ანანო აფაქიძე, მარიამ რაგიმოვა და თეონა ჯანჯღავა გამოდიოდნენ.

თოფურია-ვოკლანოვსკი 18 თებერვალს იქნება

ავსტრალიელი მებრძოლი, ალექსანდრ ვოკლანოვსკი UFC-ში ქვემსუბუქი წონის საჩემპიონო ქამარს 2019 წლიდან ფლობს. მისთვის ქამრის წართმევას ხუთჯერ შეეცადნენ, მაგრამ მან ხუთივეჯერ წარმატებით დაიცვა ტიტული და ქვემსუბუქ წონაში დღემდე დაუმარცხებელია.

იმავე წონაში, 14 გამარჯვება და ნული მარცხი აქვს ილია თოფურიას. ქართველმა მებრძოლმა ქამრის მოპოვებაზე პრეტენზია განაცხადა და ის პირველი ქართველი იქნება, ვინც ყველაზე პრესტიჟულ UFC-ში ქამრისთვის იბრძოლებს. ასოციაციის პრეზიდენტმა დანა უაითმა უკვე გამოაცხადა, რომ შეხვედრა 18 თებერვალს გაიმართება (ქალაქი მოგვიანებით გახდება ცნობილი, რადგან მასპინძლობის სურვილი ბევრს აქვს).

უკვე ცხადია, რომ 18 თებერვალს, ერთ-ერთი მებრძოლის დაუმარცხებელი სერია შეწყდება და ძალიან გვინდა, რომ ეს მებრძოლი სწორედ ვოკლანოვსკი იყოს და თოფურიამ ქამარი მოიგოს. ქართველი იმედიანად არის განწყობილი და დაიმუქრა კიდეც, ვოკლანოვსკი ჩემს საყვავილეში მე-15 ვარდი იქნებაო ექსპერტები კი, ფავორიტად, რაღა თქმა უნდა, მოქმედ ჩემპიონს ასახელებენ, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ვოკლანოვსკი 35 წლისაა და ძველებურად აშკარად ვერ ბრწყინავს, თუმცა ქვემსუბუქი წონა ის კატეგორიაა, სადაც 35 წელი საპენსიო ასაკად არ ითვლება.

მამარდაშვილის ცუდი მატჩი, კვარაცხელიას თადარიგი და მიქაუტაძის ძირითადი – ქართული ლეგიონის გამოსვლა სანაკრებო თამაშებამდე

მოგეხსენებათ, საქართველოს ეროვნული ნაკრები 16 და 19 ნოემბერს, ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო ორ შეხვედრას გამართავს. სანამ ნაკრებში ჩამოვიდოდნენ, ეროვნული ლიდერებმა კლუბებში მორიგი ტურის მატჩები ჩაატარეს და მოდით, პირდაპირ ვთქვათ, ლიდერები მაინცდამაინც კარგ ხასიათზე არ უნდა იყვნენ.

გიორგი მამარდაშვილის „ვალენსია“ მადრიდში, „რეალს“ სტუმრობდა. ქართველ მეკარეს მასპინძლებმა „ღია კარის დღე“ მოუწვეს და 5 გოლი გაუტანეს. მამარდას ყველაზე ცოტა, ორი ბურთის აღება მართებდა,

მაგრამ ისიც სათქმელია, რომ მისი გუნდის დაცვა ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და მადრიდელები ქართველი კიპერის საჯარიმოში, როგორც სურდათ, ისე ლაღობდნენ. დაცვის ხაზს თუ არ მიხედეს ვალენსიელებმა, დარჩენილ ტურებში ძალიან გაუჭირდებათ.

თადარიგში დაიწყო „ემპოლისთან“ შეხვედრა ხვიჩა კვარაცხელიამ. გუნდის თავკაცმა ლიდერის სათადარიგოთა სკამზე დასმა შემდეგნაირად ახსნა – ის მეორე ტაიმში შემოვა და ცეცხლს დაანთებსო. ხვიჩა მართლაც მეორე ნახევარში გამოჩნდა, ორჯერ გატანაც მართებდა, მაგრამ იმ დღეს სტუმართა კიპერი შეუვალი იყო და აკი, მატჩის საუკეთესო მოთამაშედაც დაასახელეს. „ემპოლიმ“ მინიმალური სხვაობით იმარჯვა და ძალიან დიდია იმის შანსი, რომ საქართველოდან გაბრუნების შემდეგ, ახალი მწვრთნელი დახვდეს. რუდი გარსიას ხელში, იტალიის მოქმედი ჩემპიონები ისე ვერ თამაშობენ, როგორც გულშემატკივარს და კლუბის პრეზიდენტს სურს და სწორედ აღნიშნულ მატჩამდე წერდა იტალიური მედია, „ემპოლისთან“ შეხვედრა გარსიასთვის გადამწყვეტი იქნება, თუ ვერ მოიგებს, კარისკენ მიუთითებენო.

როგორც იქნა, „აიაქსის“ ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდა გიორგი მიქაუტაძე. ჟორჟმა „ალმერესთან“ გასვლით შეხვედრაში პირველი ტაიმი ითამაშა, მეორე ნაევარში კი მწვრთნელმა შეცვალა. მისი ასპარეზობა მოკლედ რომ მიმოვიხილოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის თანაგუნდელებთან შეთამაშებული არ არის, თანაც რამდენჯერმე ხელსაყრელ პოზიციაში გაიხსნა და ფეხბურთელებმა პასი ან საერთოდ არ მისცეს, ან დაუგვიანეს და ძალიან კარგი იქნება, თუ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში გიორგი კვლავ „მეცში“ დაბრუნდება. ფრანგულმა კლუბმა მისი იჯარით აყვანის თაობაზე მოლაპარაკებები ოფიციალურად დაიწყო.

და ერთიც – ნაკრების წევრმა, აზერბაიჯანულ „საბაჰში“ მოთამაშე დავით ვოლკოვმა, ზედ სანაკრებო შეკრების წინ, „თურანთან“ შეხვედრაში სამი გოლი გაიტანა და საქართველოში აშკარად გადასარევ ხასიათზე ჩამოვიდა.

სუიციდი ფინალში მარცხის გამო

გასულ კვირას, ლიბერტადორესის თასის ფინალში, ბრაზილიურმა „ფლუმინენსემ“ არგენტინული „ბოკა ხუნიორსი“ 2:1 დაამარცხა. ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ ლიბერტადორესის თასი, ლათინურ ამერიკაში ზუსტად იგივე ტურნირია, როგორიც ჩვენთან ჩემპიონთა ლიგა და გამარჯვება ძალზედ პრესტიჟულად ითვლება.

ჰოდა, ფინალამდე ერთი დღით ადრე, „ბოკას“ გულშემატკივარმა, ადგილობრივმა პოლიციელმა, მარსელო მორალესმა მშობლებს განუცხადა, თუ ჩემი საყვარელი „ბოკა“ ამ ფინალს წააგებს, თავს არ ვიცოცხლებო. 23 წლის ბიჭი „ხუნიორსის“ მხურვალე გულშემატკივარი კი გახლდათ, მაგრამ აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ის მუქარას სისრულეში მოიყვანდა. გუნდის მარცხის შემდეგ, ბიჭის ცხედარი მშობლებმა იპოვეს – მან თვითმკვლელობა ტაბელური იარაღით განახორციელა.

„სამძიმარზე მოსვლა „ბოკას“ ფეხბურთელებსაც /სურდათ და არ მოვუშვი. მათ ერჩივნათ, ეთამაშათ და მოეგოთ, ასე ჩემი შვილიც ცოცხალი იქნებოდა. ახლა კი, რა უნდა მითხრან, რა სიტყვებით უნდა იმართლონ თავი?“ – განაცხადა გარდაცვლილის დედამ.

მილანიდან არაბეთში – პაოლო მალდინიც მიდის

იტალიური და ზოგადად, მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ, პაოლო მალდინიმ კარიერა მხოლოდ „მილანში“ გაატარა და რა გასაკვირი იყო, ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდების შემდეგ, ამ კლუბის სპორტული დირექტორი რომ გახდა, მაგრამ... ყველასთვის მოულოდნელად, მალდინი თანამდებობიდან გასულ ზაფხულს დაითხოვეს და იმის მიუხედავად, რომ იტალიის სხვა კლუბებიდან არაერთი შეთავაზება ჰქონდა, სხვაგან მუშაობისგან თავს იკავებდა. ახლა კი, ძალიან დიდი შანსია, პაოლომ ჩინოვნიკის კარიერა არაბეთში გააგრძელოს.

მოგეხსენებათ, არაბული კლუბები ბოლო დროს ვარსკვლავების გადაბირებას ახერხებენ და უზარმაზარ თანხებს იხდიან. ახლა კი, ისინი ცდილობენ, ხელმძღვანელობაც სუფთა პროფესიონალებისგან ჰყავდეთ დაკომპლექტებული და აგერ, მალდინიმ შეთავაზება „ალ იტიჰადიდან“ მიიღო, სადაც ტექნიკური დირექტორის პოსტსა და წლიურად 20 მილიონს სთავაზობენ. შედარებისთვის, „მილანში“ ანალოგიურ თანამდებობაზე, მისი ჯამაგირი 2 მილიონი გახლდათ. ჯერჯერობით, ლეგენდას გადაწყვეტილება არ მიუღია, მაგრამ ამბობენ, რომ ის არაბეთში აუცილებლად გადაბარგდება, გუნდში, რომლის ღირსებასაც კდიევ ერთი ლეგენდა, ქარიმ ბენზემა იცავს.

გაქცევა წითელი სამშობლოდან – „თვითმფრინავის ბიჭების საქმის“ დღემდე უცნობი დეტალები

საერთოდ, „თვითმფრინავის ბიჭების საქმეში“ ბევრი უპასუხო შეკითხვაა. მაგალითად: გამოძიებით დადგინდა, რომ ბიჭები თვითმფრინავ „იაკ 40“-ის გატაცებას აპირებდნენ, რომელიც თბილისიდან ბათუმში მიფრიანვდა, მაგრამ „გამტაცებლები“ მოულოდნელად, „ტუ 134“-ში აღმოჩნდნენ. ეს „ლაფსუსი“, გამოძიების მასალების მიხედითვე, იმითაა ახსნილი, რომ „იაკ 40“-მა გაფრენა, ცუდი მეტეოროლიგიური პირობების გამო, ვერ შეძლო, თუმცა „შავი ყუთის“ შიფროგრამაში ნათქვამია: „პოგოდა ვ აეროპორტუ პოსადკი ბატუმი ხოროშაია, ვიშე მინიმუმა“ (გამოძიების მასალები მღვდელ თეიმურაზ ჩიხლაძის ქალიშვილმა ეკამ გამოაქვეყნა წიგნში – „დასახვრეტი საქმე“)...

წითელი მონსტრების სისხლიანი ვნებანი

„თვითმფრინავის საქმით“ პირველად 17 წლის წინ დავინტერესდი და თინათინ ფეტვიაშვილის დედას, ქალბატონ თამარ გლურჯიძეს შევხვდი. ქალბატონმა თამარმა ბევრი რამ მიამბო, თინიკოსა და გეგა კობახიძის ქორწილის ღამეც გაიხსენა, ბავშვებს ბევრი არ დაულევიათ, სუფრასთან არც დიდხანს მსხდარან. გეგას „მონანიებაში“ იღებდნენ, გადაღებიდან ცოტა ხნით გამოუშვეს და ნაშუაღამევს ბათუმში უნდა გაფრენილიყო, საეჭვო არაფერი შემიმჩნევიაო.

სხვათა შორის, თვითმფრინავის გატაცების დროს, თინიკო სამი თვის ფეხმძიმე იყო. ამბობენ, რომ დაკავებისას, მოსკოვიდან გამოძახებულმა სპეცრაზმელებმა მასაც სცემეს და მუცელი სწორედ მაშინ მოეშალა. ასევე, არსებობს ინფორმაცია, რომ ნაყოფი „კა გე ბე“-ს იზოლატორში ხელოვნურად მოაცილეს... საბჭოთა სამართალმა თინათინ ფეტვიაშვილი დაინდო და, ბიჭების მსგავსად, სასჯელის უმაღლესი ზომა კი არა, 11 წლით დავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, თუმცა ვიღაცას ბრძანება გაუცია, ეგ გოგო არ გაახაროთ და ისეთ დღეში ჩააგდეთ, რომ თავი მოიკლასო. იმხანად ქალთა კოლონიაში სასჯელს, თურმე, რამდენიმე არაქართველი „უბიცა“ იხდიდა. ისინი თინიკოს კუდში დაჰყვებოდნენ და ეძახდნენ, მკვლელო, მკვლელოო... ამის შესახებ საბჭოთა სამართლის კიდევ ერთმა მსხვერპლმა, ქალბატონმა ნათელა წიქარიშვილმა მიამბო, რომელსაც თინათინ ფეტვიაშვილი, თურმე, დედას ეძახდა...

– შვილო, ჯერ სიმართლის თქმის დრო არ მოსულა და არაფერი დაწერო, თორემ შენც შარში გაეხვევი, – მთხოვა თინიკოს დედამ, ქალბატონმა თამარმა. წერილი მაინც დავწერე, თუმცა შემდეგ, როცა კახა და პაატა ივერიელების მამა, ბატონი ვაჟა გავიცანი, მივხვდი, ის წერილი ძალიან ზერელე იყო... ვაჟა ივერიელმაც ბევრი მიამბო, ცეკა-ს კულუარებშიც ჩამახედა...

სხვათა შორის, ბატონ ვაჟას შვილების შესანდობარი არასოდეს უთქვამს. არც დახვრეტის ცნობა მიუღია და არც ტყვიის საფასური გადაუხდია. ალბათ, ამიტომაც ეგონა, რომ ცოცხლები იყვნენ... ვაჟა ივერიელი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. სწორედ იმ წელს აპირებდა, შვილების სულები მოეხსენიებინა, მაგრამ...

პაატასა და კახა ივერიელებს ერთ-ერთ ბრალდებად გვარის შეცვლა წაუყენეს. ბიჭებმა ლეკიშვილობას ივერიელობა, ალბათ, იმიტომ არჩიეს, რომ ივერია საქართველოა. საბჭოთა თემიდას, როგორც ჩანს, ეს არ მოეწონა, თორემ ძმებს ფსევდონიმად მოსკოველი, ან სულაც, ულიანოვი რომ აეღოთ, ცხადია, ამისთვის კი არ გაკიცხავდნენ, არამედ, მადლობას ეტყოდნენ!..

„თვითმფრინავის ბიჭებს“ ე.წ. სამოქალაქო სასამართლოც მოუწყვეს – პარტიისა და კომკავშირის აქტივისტებმა სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და ფაბრიკა-ქარხნებში, თურმე, ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს და ხალხს აიძულებდნენ, რომ ბიჭების დახვრეტა მოეთხოვა... დახვრეტის მოთხოვნის პარალელურად, ინტელიგენციას ბიჭების შეწყალების წერილიც მოუმზადებია... ვაჟა ივერიელი სიცოცხლის ბოლომდე თვლიდა, რომ ედუარდ შევარდნაძეს ბიჭების გადარჩენა არ შეეძლო... ამბობენ, რომ „თვითმფრინავის საქმეს“ თავიდან ბოლომდე საქართველოს უშიშროების კომიტეტის იმჟამინდელი თავმჯდომარე, ალექსი ინაური კურირებდა... რატომ გაწირა ინაურმა თავისივე სისხლი და ხორცი?..

როგორ დაიგეგმა გატაცება

1983 წლის 18 ნოემბრამდე, რამდენიმე დღით ადრე, უცხოელი ახალგაზრდების ჯგუფმა თვითმფრინავი გაიტაცა. ამის შესახებ მამამ და შვილებმა ერთად მოისმინეს.

– ბიჭებო, ტერორიზმი საშინელებაა და ასეთ საქმეში მონაწილეობა არასოდეს მიიღოთ, – გააფრთხილა ვაჟა ივერიელმა პაატა და კახა, მაგრამ ამ დროს ძმებს გადაწყვეტილება უკვე მიღებული ჰქონდათ...

... 1983 წლის 15 ოქტომბერი. სოსო წერეთელი, გია ტაბიძე, გეგა კობახიძე და ძმები ივერიელები წყნეთში, დათო მიქაბერიძის მშობლების აგარაკზე იკრიბებიან. შეხვედრას, რომლის მიზანიც თვითმფრინავის გატაცების დეტალების დადგენაა, თინათინ ფეტვიაშვილი არ ესწრება. პროტესტნატები, ძლიერი სულიერი მღელვარების მიუხედავად, თანხმდებიან, რომ ეკიპაჟზე თავდასხმას გია ტაბიძე დაიწყებს, რომელსაც კახა ივერიელი დაეხმარება. სხვათა შორის, როგორც ვაჟა ივერიელი ამბობდა, პაატა „გამტაცებლებს“ ახლოს არ იცნობდა, მაგრამ 15 ნოემბრის შეკრებაზე ბიჭებმა კახას შესთავაზეს, რომ „ოპერაციაში“ მის ძმას, პაატასაც მიეღო მონაწილეობა... გეგა და თინიკო მგზავრებს შორის ჩუმად დასხდებოდნენ და იმ შემთხვევაში, თუკი სიტუაცია დაიძაბებოდა, ცოლ-ქმარი თვითმფრინავიდან, სხვა მგზავრებთან ერთად, ჩამოვიდოდა.

... 1983 წლის 18 ნოემბერი. თინა ფეტვიაშვილისა და გეგა კობახიძის ქორწილის მეორე დღე. კახა და პაატა ივერიელები, გრიბოედოვის ძეგლთან, გია ტაბიძეს ხვდებიან და ტაქსით აეროპორტში მიდიან... გეგა კობახიძე, თინიკო ფეტვიაშვილი, დათო მიქაბერიძე, სოსო წერეთელი და თინიკოს ორი მეგობარი – ეკა მელივა და ეკა შალუტაშვილი თვითმფრინავში, სპეცკონტროლის გვერდის ავლით, ე.წ. ინტურისტების გასასვლელით ადიან. ამაში მათ აეროპორტის თანამშრომელი, ეკა შალუტაშვილი ეხმარება. სხვათა შორის, შალუტაშვილს თვითმფრინავში ერთი „ნაგანი“, ერთი „ტე-ტე“, ერთი „რევსტერი“ და ორი ბუტაფორიული ხელყუმბარა ისე შეაქვს, რომ წარმოდგენაც არ აქვს, რა დევს ხელჩანთაში...

... რამდენიმე წუთია, თვითმფრინავი ჰაერშია. პროტესტანტები ოპერაციის დაწყებას აპირებენ, მაგრამ მოულოდნელად, ხომალდი მარშრუტს ცვლის და გეზს თბილისისკენ იღებს. მოგვიანებით გაირკვევა, რომ ასეთი გადაწყვეტილება ეკიპაჟმა ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო მიიღო... პროტესტანტებში პანიკა იწყება... უკვე 16 საათი და 10 წუთია (მოსკოვის დროით). კახა ივერიელი ფეხზე წამოდგა... სოსო წერეთელი „სტიუარდესების“ ოთახისკენ მიდის... მას დათო მიქაბერიძეც მიჰყვება. სწორედ ამ დროს, გია ტაბიძე პაატა ივერიელთან მიდის და ეჩურჩულება, რომ გააუვნებელყოს ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრი სოლომონია... პაატა სოლომონიას თავში ღვინო „აისის“ ბოთლს ურტყამს (რამდენიმე წუთში, პაატა დაზარალებულს ჭრილობას ბინტით შეუხვევს), მისი ძმა, კახა კი, ეკიპაჟის მეორე წევრ პილოტკას ხელსა და მკლავში ჭრის... კახა ივერიელი ბორტგამცილებელ ხიმიჩს თმაში სწვდება და მფრინავებთან ტელეფონით დაკავშირებას აიძულებს, სოსო წერეთელი კი, ბორტგამცილებელ კრუტიკოვას მფრინავების კარზე პირობითი სიგნალის მიცემას სთხოვს... 16 საათზე, 13 წუთსა და 40 წამზე, კარს მფრინავი ზაველ შარბათიანი აღებს, რომელსაც გია ტაბიძე სამჯერ ესვრის და მხარში ჭრის...

თვითმფრინავის გატაცება ზუსტად 3 წუთის წინ დაიწყო. რამდენიმე წუთიც და, გია ტაბიძე მოკვდება... სალონში პანიკაა...

(გაგრძელება იქნება)

ამერიკელ მოხუცებს რობოტები მოუვლიან



აშშ-ის უდიდეს მეგაპოლისში, სულ მალე, კიდევ ერთი სიახლე დაინერგება – ნიუ იორკელი მარტოხელა მოხუცების მოვლასა და გართობაზე „ჭკვიანი მანქანები“ იზრუნებენ. როგორც ცნობილია, რობოტების დახმარება განსაზღვრულია 65 წელს გადაცილებული ადამიანებისთვის, რომლებიც მარტო ცხოვრობენ. რობოტების შეუძლიათ ესაუბრონ ადამიანს, უპასუხონ მათ შეკითხვებს და შეახსენონ წამლების მიღების დრო, ან სხვა კონკრეტული ინფორმაცია. ხანდაზმული ადამიანებისთვის მარტოობა დიდი პრობლემაა. „ჭკვიანი მანქანების“ პროექტი კი, შესაძლოა, ახალ ტრენდად იქცეს და სულ უფრო მეტი მოხუცი დაუმეგობრდეს რობოტებს.

დაბინძურებული ჰაერი ტვინს აზიანებს





ასეთი დასკვნა გააკეთა მკვლევართა ჯგუფმა აშშ-დან, მექსიკიდან და დიდი ბრიტანეთიდან. მათ შეისწავლეს 15-დან 39 წლამდე ასაკის, მეხიკოს 186 მცხოვრების ტვინის ღერო, რომლებიც გარდაიცვალნენ. გარდა ამისა, გამოიკვლიეს ბავშვების ტვინიც, რომელთაგან ყველაზე უმცროსი 11 თვის იყო. ამ ადამიანებმა მთელი ცხოვრება გაატარეს ქალაქში, სადაც ჰაერის ხარისხი ყველაზე დაბალია მსოფლიოში, ავტომობილების გამონაბოლქვით დაბინძურების გამო. გამოკვლეულთა ტვინში, მათ შორის, 11 თვის ბავშვის ტვინშიც, პათოლოგიური ცვლილებები აღმოაჩინეს, რაც დამახასიათებელია ნეიროდეგენერაციული დაავადებისთვის (ალცჰაიმერი, პარკინსონი). მათ ტვინში – რუხ ნივთიერებასა და ნათხემში აღმოჩნდა რკინის, ალუმინისა და ტიტანის ნანონაწილაკების მაღალი კონცენტრაცია. სწავლულები ვარაუდობენ, რომ ლითონის ეს ნანონაწილაკები იწვევდნენ პათოლოგიურ ცვლილებებს, იწვევდნენ ანთებით პროცესებს და პროვოცირებდნენ თავისუფალი ჟანგბადის გადაჭარბებულ ფორმირებას, რამაც ნეირონების სიკვდილი გამოიწვია. შედარებით სუფთა რეგიონებში მცხოვრები ადამიანების ტვინში არ დაფიქსირდა ისეთი პათოლოგიები, როგორც მეხიკოს მკვიდრებში.

პოპკორნი სასარგებლო ყოფილა

სწავლულებმა გაარკვიეს, რომ პოპკორნი სასარგებლოა დიაბეტის პროფილაქტიკისთვის. საუბარია სახლში, ზეთისა და მავნე დანამატების გარეშე მომზადებულ ბატიბუტზე. ცნობილია, რომ სიმინდი უამრავ სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს და ხანმოკლე სითბური დამუშავებით მასში ვიტამინები ნარჩუნდება. პოპკორნი აუმჯობესებს ნივთიარებათა ცვლას და ხელს უშლის ცხიმების დაგროვებას. ის ნაკლებ კალორიას შეიცავს – 100 გრამზე 100-1300 კილო კალორია. აღმოჩნდა, რომ ყველასთვის საყვარელი სასუსნავი დიაბეტის პროფილაქტიკისთვის ყოფილა სასარგებლო: ის ხელს უწყობს სისხლში შაქრისა და ცუდი ქოლესტერინის დონის შემცირებას. თუმცა, მკვლევარები გვაფრთხილებენ, რომ მისი ხშირად მირთმევა არ არის მიზანშეწონილი, რეკომენდებულია, თვეში მხოლოდ რამდენჯერმე.

წლის ყველაზე სექსუალური მამაკაცი გამოავლინეს

პოპულარულმა გამოცემამ People, ტრადიციულად, წლის ყველაზე სექსუალური მამაკაცი დაასახელა. ამჯერად, ეს საპატიო ტიტული ცნობილ ამერიკელ მსახიობს, 57 წლის პატრიკ დემპსის არგუნეს. დემპსი მაყურებელს ყველაზე უკეთ, ალბათ, სამედიცინო დრამიდან – „გრეის ანატომია“ ახსოვს, სადაც მან ნეოროქირურგ შეპარდის როლი შეასრულა. არანაკლებ პოპულარულა ფილმები – „მოჯადოებული“ და „ბრიჯიტ ჯონსის დღიურები“, სადაც პატრიკი მთავარ როლებშია.

„მოხარული ვარ, რომ ეს ხდება ჩემს ცხოვრებაში. სასიამოვნოა აღიარება და რასაკვირველია, ჩემი ეგოც ამაღლდა. თუმცა, ეს მაძლევს შესაძლებლობას, გამოვიყენო რამე დადებითისთვის“, – განაცხადა ყველაზე სექსუალურმა მამაკაცმა.

დი კაპრიო ისევ შეყვარებულია

პოპულარული ჰოლივუდელი მსახიობი და ერთ-ერთი ყველაზე სასურველი სასიძო, 49 წლის ლეონარდო დი კაპრიო კვლავ შეყვარებულია. მისი ამჟამინდელი რჩეული 25 წლის სუპერმოდელი ვიტორია ჩერეტია. როგორც Holliwood Life წერს, წყვილის ურთიერთობა გასულ ზაფხულს, აგვისტოში დაიწყო და ჩანს, ის სულ უფრო სერიოზული ხდება. ყოველ შემთხვევაში, მედიის ცნობით, ვიტორია ლეოსთვის, ამ ეტაპზე, ერთადერთი ქალია. მოდელთან ერთად, სულ ცოტა ხნის წინ, დი კაპრიო „ჰელოუინის“ წვეულებაზეც გამოჩნდა. წყაროს ცნობითვე, მოდელის შესახებ მსახიობი ამბობს, გარდა იმისა, რომ ძალიან ლამაზია, ამავდროულად, ძალიან ადამიანურიაო. წყაროსვე ცნობით, წყვილს ბევრი საერთო აქვთ. ჩერეტი თავის პროფესიაში საკმაოდ წარმატებულია და ჩანს, ლეო მას მხოლოდ მისი ცნობადობის გამო არ შეურჩევია.

ყველაზე ჭკვიან ბრიტანელად პაკისტანელი აღიარეს

პაკისტანური წარმოშობის 16 წლის გოგონა, მაჰნურ ჩიმა დიდ ბრიტანეთში ყველაზე ჭკვიან მოზარდად აღიარეს. ტესტებმა აჩვენა, რომ მისი ინტელექტის კოეფიციენტი (IQ) უფრო მაღალია, ვიდრე აინშტაინის და სტივენ ჰოკინგის. მაჰნურის შემთხვევაში, ეს „გენეტიკურიცაა“ – მისი და იმარჯვებდა პაკისტანში, მათემატიკის ყველა ოლიმპიადაში. მაჰნურმა უკვე ჩააბარა უამრავი ონლაინ-გამოცდა, ტესტი, ცდა და ყველა მათგანი – უმაღლესი შეფასებით. 11 წლისამ ზეპირად ისწავლა ინგლისური ენის ოქსფორდის ლექსიკონი.

პაკისტანელი ვუნდერკინდი ამ წარმატებას, გარდა აღზრდისა, საკუთარ ძილის რეჟიმსაც უკავშირებს. მისი თქმით, სკოლის შემდეგ, ყოველთვის სამი საათი სძინავს, რადგან ძალიან იღლება და პროდუქტიულ მეცადინეობას ვერ ახერხებს. „საღამოს, 7 საათზე ვიღვიძებ და დასაძინებლად 2 საათზე ვწვები. ძილის წინ, ბოლო საათს ფორტეპიანოზე დაკვრაში ვატარებ“, – ამბობს ყველაზე ჭკვიანი მოზარდი.

სოკო დემენციას აგაცილებთ

ჩინელმა სწავლულებმა დაადგინეს, რომ სოკოს შეუძლია ალცჰაიმერის დაავადების განვითარებისა და მისი პროგრესირების შეფერხება. მათი თქმით, ამ ეფექტზე პასუხისმგებელია სოკოს ბიოაქტიური ნაერთები, განსაკუთრებით კი ნეიროპროტექტორული მცირე მოლეკულები. მკვლევარების აზრით, ეს აღმოჩენა იძლევა საშუალებას, რომ სოკო ხანდაზმულთა დემენციის თავიდან არიდების ერთ-ერთ გზად განვიხილოთ. უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ კვების ჩვევების შეცვლამ შეიძლება შეაფერხოს ალცჰაიმერის დაავადების განვითარება, თუმცა სოკოს გავლენა ტვინის ჯანმრთელობაზე ჯერ არ შეუფასებიათ. სწავლულებმა ისიც დაადგინეს, რომ სოკოს აქვს სიმსივნის საწინააღმდეგო, ანტიოქსიდანტური და ანტიმიკრობული თვისებები. მისი ხშირი მოხმარება მნიშვნელოვნად ამცირებს დემენციის განვითარების რისკს. კვირაში მხოლოდ 300 გრამი სოკო საკმარისია, რომ მსუბუქი კოგნიტური დაქვეითების რისკი 50%-ით შემცირდეს.

ტვინის ქსოვილების პირველი ბანკი შექმნეს

ესპანელმა მკვლევარებმა მსოფლიოში პირველი, ადამიანის ტვინის ცოცხალი ქსოვილების ბიობანკი შექმნეს. მათზე შესაძლებელი იქნება კვლევების ჩატარება და ახალი პრეპარატების ტესტირება. სპეციალისტები ბიომასალას თავის ტვინის სიმსივნის მქონე პაციენტებისგან აგროვებენ. როცა ისინი ონკოლოგიურ კლინიკებში, საოპერაციო მაგიდაზე ხვდებიან, მათ შეუძლიათ, ქსოვილის უმცირესი ნაწილი ბიობანკისთვის გაიღონ. ჩვეულებრივ, კვლევებისთვის ტვინის ქსოვილების აუცილებელი რაოდენობის მოძიება დიდ დროს მოითხოვს. ახლა მეცნიერებს შეეძლებათ, მნიშვნელოვნად სწრაფად მოიძიონ მკურნალობის ახალი მეთოდები.

ყველაზე დიდი ცისფერი ბრილიანტი გაიყიდა

Chritie's-ის აუქციონზე ყველაზე დიდი ცისფერი ბრილიანტი გამოიტანეს გასაყიდად. უნაკლო სისუფთავის ეს უნიკალური ძვირფასი ქვა, რომელიც 17.5 კარატი წონის იყო, 44 მილიონ დოლარად გაიყიდა. თუმცა, რეკორდი არ შედგა. მიუხედავად შთამბეჭდავი ზომებისა, „ბლუ როიალმა" ვერ აჯობა „ოპენჰეიმერ ბლუს" – შვიდი წლის წინ ეს ქვა, 14.5კარატით, აუქციონზე 57.5 მილიონ დოლარად გაიყიდა.

ენდოსკოპიას კამერა-აბი ჩაანაცვლებს

ბრიტანელმა სპეციალისტებმა შექმნეს კაფსულის ზომის კამერა, რომელსაც შეეძლება, მომავალში სრულად ჩაანაცვლოს ერთ-ერთი ყველაზე უსიამოვნო გამოკვლევა – ენდოსკოპია. როგორც იცით, ეს პროცედურა გულისხმობს კუჭ-ნაწლავის კვლევას, რომლის დროსაც, ორგანიზმში პირის ღრუდან კამერა შეჰყავთ, რაც საკმაოდ უსიამოვნო პროცედურაა. ინოვაციური კამერა კი წამლის კაფსულის ზომისაა და მისი ჩაყლაპვა დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. კამერა მსხვილი ნაწლავის კიბოსთან საბრძოლველად შეიქმნა, თუმცა მას შეუძლია, კუწ-ნაწლავის ტრაქტის სხვა დაავადებებიც აღმოაჩინოს. ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ, კამერა ფოტოებს იღებს, რაც მედიკოსებს საშუალებას აძლევს, დააკვირდნენ შესაძლო პათოლოგიურ პროცესებს. კაფსულის ჩაყლაპვიდან 5 საათში, ექიმები პაციენტის კუჭ-ნაწლავის 400 ათასამდე ფოტოს ნახვას შეძლებენ. ექსპერიმენტისთვის ეს ინოვაციური აბი-კამერა ბრიტანეთში, 11 ათას პაციენტს გადაეგზავნა. თუ ახალი ტექნოლოგია გაამართლებს, ეს სრულიად ახალი სიტყვა იქნება მედიცინაში. კაფსულა-კამერა ჩაანაცვლებს ენდოსკოპიას, კოლონოსკოპიას, რენტგენოგრაფიასა და კუჭ-ნაწლავის დაავადებების სხვა სადიაგნოსტიკო საშუალებებს.

ტურნირი არაფრისკეთებაში ტოკიოშიც შედგა

ამომავალი მზის ქვეყნის დედაქალაქში გაიმართა შეჯიბრი არაფრის კეთებაში – Space Out Competition. ორგანიზატორები აღნიშნავენ, რომ ეს არ არის სიზარმაცის ტურნირი, ეს სულისა და სხეულის გამოცდაა სრულ მოსვენებაში. ტურნირში 100 ადამიანი მონაწილეობდა, მთავარი პირობა კი 90 წუთის განმავლობაში არაფრის კეთება იყო. მონაწილეების დისკვალიფიკაცია ხდებოდა საუბრის, ტელეფონის გამოყენების, სიცილისა და თვალების დახუჭვისთვისაც კი, რადგან თვლემა არ შეიძლებოდა, არც ფიქრი რაიმე ამაღელვებელზე. შეჯიბრის გამარჯვებულს პულსით ირჩევენ – მას ყველაზე დაბალი და სტაბილური პულსი უნდა ჰქონდეს. ჩემპიონატი ტოკიოში ღია ცის ქვეშ გაიმართა. წარმოიდგინეთ, იაპონელისთვის, რომელიც მიჩვეულია სულ რაღაცის კეთებას ან სადღაც საქმეზე სირბილს, საათნახევარი არაფრის კეთება მისთვის ნამდვილი წამება იქნება.

საკვებს ჰაერიდან იღებენ

ჰაერიდან მიღებული შნიცელი ფინელი სწავლულების დამსახურებაა. სტარტაპ Solar Foods-ის მონაწილეების გამოგონებაში საკვებისთვის მთავარი ინგრედიენტი ყვითელი ფქვილია, რომელიც 65% ცილა Solein-ს შეიცავს. ფქვილი სპეციალურ ბიორეაქტორში მიიღეს, რომელშიც თხევადი მიკროორგანიზების დაქუცმაცება ხდება: ფერმენტერში ამატებენ წყალბადისა და ნახშირმჟავა აირის ნაერთს, რის შემდეგაც გამოიყოფა საკვები ნივთიერებები. მას აშრობენ და ფქვილად აქცევენ. სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ მომავალში, ამ ტექნოლოგიით მიღებული პროდუქტებით პლანეტის ყველა მცხოვრების უზრუნველყოფა იქნება შესაძლებელი. ამასთან, მისი წარმოება ეკოლოგიურიცაა, რადგან ცილა Solein-ის წარმოებისთვის „მწვანე ამიაკი" გამოიყენება. როგორც ენერგიის წყარო, ის ცხრაჯერ მძლავრია ლითიუმ-იონურ ბატარეებზე და მისი გამოყენებისას, ნახშირბადი საერთოდ არ გამოიყოფა.

ყურძენი ქიმიოთერაპიის მავნე გავლენისგან იცავს

ყურძენს, უფრო სწორად კი, მის წიპწებს შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს ქიმიოთერაპიის ეფექტიანობა ნაწლავების კიბოს დროს და ასევე შეამციროს ამ პროცედურის გვერდითი მოვლენები, – აცხადებენ სწავლულები. „საიდუმლო“ კი ამ ხილის წიპწებში არსებულ ანტიოქსიდანტებშია, მთრიმლავ ნივთიერებებსა და პოლიფენოლებში. მათ ანთებისა და კიბოს საწინააღმდეგო საკმაოდ ძლიერი თვისებები აქვთ. მეცნიერები აცხადებენ, რომ წიპწებისგან მიღებული ექსტრაქტის მოხმარება აქვეითებს ორგანიზმში ანთების ხარისხს და ნაწლავებში არსებულ დაზიანებას. ქიმიოთერაპიისას, ამორჩევით არ ხდება პრეპარატების ზემოქმედება დაზიანებულ და ჯანმრთელ უჯრედებზე, ზიანდებიან ჯანმრთელებიც, ამიტომ ქიმიოთერაპიასთან ერთად, ამ ექსტრაქტის მიღება შესანიშნავად მუშაობს. ჩატარებული ექსპერიმენტებისას, ანთების პროცესის დაქვეითება 55%-ს აღწევდა, კიბოს უჯრედების ზრდის შეფერხება კი 26%-ის დონეზე იყო. სპეციალისტების განცხადებით, ყურძნის წიპწების ექსტრაქტის გამოყენება შეიძლება არა მხოლოდ სიმსივნის ამ სახეობისას, არამედ ნაწლავების სხვა დაავადებების თერაპიის დროსაც. აღსანიშნავია, რომ მკვლევარებმა ექსპერიმენტებისას ბაზარზე უკვე არსებული ექსტრაქტი გამოიყენეს.

ფორთოხლის წვენი ქალებს ვნებს

სწავლულებმა გაარკვიეს, რომ ფორთოხლის წვენი სერიოზულ ზიანს აყენებს სუსტი სქესის წარმომადგენლების ჯანმრთელობას. ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით, ქალებმა არა მხოლოდ მაქსიმალურად უნდა შეამცირონ რაციონში ამ ციტრუსის წვენი, არამედ, საერთოდაც ამოიღონ მოხმარებიდან. მკვლვარებმა ცოტა ხნის წინანდელი ექსპერიმენტის შედეგები გაამხილეს, რომლის დროსაც დადგინდა კავშირი ფორთოხლის წვენის მოხმარებასა და ერთ-ერთ გავრცელებულ დაავადებას – პოდაგრას განვითარებას შორის. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ იმ მოხალისეებს, რომლებიც დღეში ერთ ჭიქა ფორთოხლის წვენს მიირთმევდნენ, პოდაგრის განვითარების რისკი 41%-ით ეზრდებოდა, ხოლო ვინც ერთბაშად ორ ჭიქას სვამდა, მათთვის ეს რისკი 2.4-ჯერ მატულობდა.

სიმსუქნეს ქრონიკული ანთება იწვევს

იაპონელმა სწავლულებმა, ტოკუსიმას უნივერსიტეტიდან, აღმოაჩინეს, რომ დნმ-ს მკვდარი ცხიმოვანი უჯრედებიდან სიმსუქნის გამოწვევა შეუძლია. მკვლევარებმა ცდები ლაბორატორიულ თაგვებზე ჩაატარეს და აჩვენეს, რომ ქსოვილების ქრონიკული ანთება ზედმეტი კილოგრამების გაჩენას იწვევს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამ საქმეში შესაძლო „დამნაშავე“ ცილა TLR9-ია, რომელიც თანდაყოლილი იმუნიტეტის ფუნქციონირებას უზრუნველჰყოფს. სიმსუქნე ანთებითი პროცესების მანიშნებელია, რომელიც ისეთი დაავადებების მიზეზი ხდება, როგორიცაა მდგრადობა ინსულინის მიმართ. ასეთი პროცესების მექანიზმები ჯერ კიდევ დიდწილად გაურკვეველია, თუმცა ახალ კვლევაში სწავლულებმა აჩვენეს, რომ დნმ-ის გამოყოფას ცხიმოვანი უჯრედებიდან – ადიპოციტებიდან, შეუძლია ანთება გამოიწვიოს.

მოწყობილობა ინფარქტის მოახლოებას შეგატყობინებთ

გერმანელმა სწავლულებმა, ჰამბურგის უნივერსიტეტიდან, პორტატული რადარი შექმნეს, რომელიც რამდენიმე წამში, უკონტაქტოდ აფიქსირებს დარღვევებს სისხლძარღვთა სისტემაში და ადამიანს ინფარქტის ან ინსულტის მოახლოებაზე დროულად აფრთხილებს. მოწყობილობა მცირე, სიგარეტის კოლოფის ზომისაა და რთულ სენსორულ სისტემას წარმოადგენს. ამ აპარატის გამოყენება სახლშიც შეიძლება. ადამიანის ჯანმრთელობის უკონტაქტო მონიტორინგის დროს, პატარა სენსორები ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების მაჩვენებლებს აფიქსირებენ და მნიშვნელოვანი დარღვევების შემთხვევაში, განგაშის სიგნალს რთავენ. ამ დროს ადამიანი არ უნდა დაელოდოს შეტევას და სასწრაფო დახმარება დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოს. აღსანიშნავია, რომ ინფარქტი და ინსულტი მსოფლიოში გულსისხლძარღვთა ყველაზე ხშირი დაავადებებია.

დამბლა განკურნებადია

ავსტრალიის სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის სწავლულებმა მოზრდილი ადამიანების ძვლისა და ცხიმოვანი ქსოვილებისგან ღეროვნი უჯრედების მიღება ისწავლეს, რომელთაც შეუძლიათ ნებისმიერი ქსოვილის რეგენერაცია, მათ შორის, გატეხილი ხერხემლისაც. როგორც მეცნიერები აცხადებენ, ახალი მეთოდი საშუალებას იძლევა, მიიღონ ინდუცირებული ღეროვანი უჯრედები ან პროგენიტორული უჯრედები, რომელთაც გარკვეულ ქსოვილებად გარდაქმნა შეუძლიათ. ასეთი მიდგომა ლაბორატორიულ თაგვებზე გამოსცადეს, პირველი კლინიკური ცდების დაწყებას კი წლის ბოლოსთვის აპირებენ. ახალ თერაპიას უდიდესი პოტენციალი აქვს ზურგისა და კისრის მკურნალობაში, ასევე, ზურგის დისკის, სახსრებისა და კუნთების ტრავმის მკურნალობის დროს.

ნუ იტყვით უარს ფაფაზე

ჰარვარდის უნივერსიტეტი 14 წლის განმავლობაში აკვირდებოდა 100 ათასი მოხალისის კვებასა და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას. საბოლოოდ მკვლევარები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყოველდღიურად ფაფის ჭამის ჩვევა ადამიანს სიცოცხლეს უხანგრძლივებს და გულსისხლძარღვთა დაავადებების რისკს ამცირებს. დღეში სულ 28 გრამი მარცვლეული ან მისი ნატურალური ფანტელი საკმარისია ჯანმრთელობის განსამტკიცებლად. ფაფის ყოველი დამატებითი პორცია კი 9%-ით აქვეითებს ინსულტითა და ინფარქტით გამოწვეული სიკვდილის რისკს. სწავლულები აცხადებენ, რომ ფაფა უნდა იყოს შვრიის, რუხი ბრინჯის, წიწიბურას, ხორბლის, ფეტვისა და ქერის. ეს პროდუქტები შეიცავენ უჯრედისს, რომელიც აუცილებელია ნაწლავების ნორმალური მიკროფლორის შესანარჩუნებლად, საკვები ნივთიერებების სრულფასოვნად ათვისებისა და ძლიერი იმუნური სისტემისთვის.

დამნაშავე რობოტმა დააკავა

აშშ-ში, ლოს-ანჯელესში, მსოფლიოში პირველად, რობოტმა ძაღლმა დამნაშავე დააკავა. როცა სამართალდამცავები შეეცადნენ, ავტობუსში დამალული შეიარაღებული მამაკაცის აყვანას, მათ ჩათვალეს, რომ ეს საშიში იქნებოდა პოლიციელების სიცოცხლისთვის. რომ არ გაერისკათ, მათ მიიღეს გადაწყვეტილება, ავტობუსის სალონში რობო-ძაღლი შეეშვათ. „ჭკვიანი მანქანის“ დანახვაზე ეჭვმიტანილი მაშინვე ჩაბარდა.

პატარძალი ტირილით მოკვდა

ინდოეთში, ახალგზრდა ქალი, საკუთარი ქორწილის დღეს ტირილით მოკვდა. როგორც გამოცემა India Today წერს, ინციდენტი საქორწინო ცერემონიის დასრულების შემდეგ, ეგრეთ წოდებული, „ბიდააის“ რიტუალის შესრულების დროს მოხდა. ამ ტრადიციული რიტუალის დროს გათხოვილი ქალი მშობლების ოჯახს ემშვიდობება. ეს პროცესი ინდოეთში მოთქმითა და ტირილით სრულდება. ატირებულმა პატარძალმა მოულოდნელად გონება დაკარგა და იატაკზე დაეცა. ექიმებმა დაადგინეს, რომ მას გული გაუჩერდა. სიკვდილი, სავარაუდოდ, ძლიერი სტრესით იყო გამოწვეული.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.